საერთო გაზეთი

№17 (750)
ოთხშაბათი
15 მაისი,
2024 წ.
ფასი 1.50 ლ.

საქართველოს პარლამენტმა კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ მესამე მოსმენით მიიღო



საქართველოს ხელისუფლება დაინტერესებულია აშშ-სთან პარტნიორობის გაღრმავებით

საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ირაკლი კობახიძე ევროპისა და ევრაზიის საკითხებში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწეს, ჯიმ ო'ბრაიენს შეხვდა.

გაიმართა ხანგრძლივი შეხვედრა, სადაც შედგა გულწრფელი საუბარი ქართულ-ამერიკული ურთიერთობების ყველა საკითხზე, მათ შორის საქართველოში გასული რამდენიმე წლის განმავლობაში განვითარებულ პროცესებზე. მთავრობის მეთაურმა და აშშ-ის სახელმწიფო მდივანის თანაშემწემ ამ პროცესებთან დაკავშირებით ერთმანეთს თავიანთი წუხილები გაუზიარეს.

ირაკლი კობახიძემ ჯიმ ო'ბრაიენს „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის მიღების საჭიროებაც განუმარტა და კიდევ ერთხელ გამოთქვა მმართველი გუნდის მზაობა, ვეტოს პროცედურის ფარგლებში საერთაშორისო პარტნიორების ყველა სამართლებრივი შენიშვნა ყურადღებით განიხილოს.

პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლება დაინტერესებულია აშშ-სთან პარტნიორობის გაღრმავებით, რაც ორმხრივ ძალისხმევას და სამართლიან ურთიერთდამოკიდებულებას მოითხოვს.

ირაკლი კობახიძე: ქართული საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც პოლიტიკური უმცირესობის დღის წესრიგს მიჰყვება, მინდა შევახსენო, რომ ნაუკითხავი კანონის გაპროტესტება არის უდიდესი უპასუხისმგებლობა საკუთარი ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე

ირაკლი კობახიძეს შეკითხვა დაუსვეს, ბიძინა ივანიშვილის დასანქცირებასთან დაკავშირებით, რაზეც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ თავად ბიძინა ივანიშვილს არ აინტერესებს დასანქცირების საკითხი.

„პირველ რიგში, თავად ბიძინა ივანიშვილს არ აინტერესებს ეს საკითხი, გამომდინარე იქიდან, რომ მიიჩნევს ამ საკითხს არასერიოზულად მე ეს შემიძლია, გითხრათ. რაც შეეხება კონკრეტულად ო'ბრაიენის ვიზიტს, შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ იყო ბიძინა ივანიშვილის მიმართ თხოვნა შეხვედრასთან დაკავშირებით, რაზეც ბიძინა ივანიშვილმა უარით უპასუხა, ამას ჰქონდა თავისი ახსნა და განმარტება. გარდა ამისა, მინდა გითხრათ, რომ იყო გასული თვეების განმავლობაში შემთხვევები, როდესაც სხვა უცხოელ დიპლომატებსა და პოლიტიკოსებსაც უთხრა უარი ბიძინა ივანიშვილმა შეხვედრაზე. ამაზე მე მაქვს ინფორმაცია, გამომდინარე იქიდან, რომ მე მიწევდა გარკვეული საკითხების შეთანხმება. ყველა შემთხვევაში უარის მიზეზი იყო ერთი და იგივე. ბიძინა ივანიშვილი აცხადებდა იმას, რომ ის ისედაც არის დე ფაქტო სანქციების ქვეშ, მას აქვს გაყინული 2 მილიარდი დოლარი, რომელიც მან დასავლეთს მიანდო, მაგრამ აღმოჩნდა გლობალური ომის პარტიის ხელში“, - აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ბიძინა ივანიშვილის მკაფიო პოზიციაა, რომ შანტაჟის ქვეშ ის ვერავითარ შეხვედრას ვერ გამართავს.

„როგორც კი დასრულდება ეს შანტაჟი და დე ფაქტო სანქციები, მაშინვე, რა თქმა უნდა, ნებისმიერი შეხვედრა შეიძლება, შედგეს, მაგრამ დღეს ეს არის ბიძინა ივანიშვილის პოზიცია ამ თემასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, როგორც არ ჭრიდა ეს შანტაჟი და მუქარა 2022 წლის მარტიდან, როცა მას გაუყინეს თანხები უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ, ასევე ვერ გაჭრის მასზე ასეთი შანტაჟი და მუქარა ვერც ახლა, ანუ ვერავინ ვერ გადაადგმევინებს ბიძინა ივანიშვილს სახელმწიფოს საწინააღმდეგო ნაბიჯებს ვერავითარი შანტაჟის და მუქარის პირობებში. სანქცია თავისთავად ხომ შანტაჟს ნიშნავს, თავისთავად სანქცია შეიცავს შანტაჟს და მუქარას, ამიტომ ეს არ არის სერიოზული თემა ამ ყველა გარემოების გათვალისწინებით“, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

როგორც ირაკლი კობახიძემ აღნიშნა, გლობალური ომის პარტიას აქვს გადამწყვეტი, კრიტიკული გავლენა ოფიციალურ სტრუქტურებზე, როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში, ასევე ევროკავშირში.

„რამდენიმე დღის წინ მე ვთქვი, რომ გამიჭირდება ამ სუბიექტების დაკონკრეტება, რა თქმა უნდა, დღესაც ვერ შევიცვლი პოზიციას, გამომდინარე იქიდან, რომ ამ სუბიექტების დაკონკრეტებამ შეიძლება, უარყოფითი გავლენა იქონიოს ჩვენი ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებზე. მე დავაკონკრეტე ასევე, რომ აქ არ ვგულისხმობ ევროკავშირსა და აშშ-ს, პირიქით, ევროკავშირი არის სწორედ მთავარი მსხვერპლი, თუმცა აქვე ვიტყვით იმასაც, რომ გლობალური ომის პარტიას აქვს გადამწყვეტი, ასე ვთქვათ, კრიტიკული გავლენა ოფიციალურ სტრუქტურებზე, როგორც აშშ-ში, ასევე ევროკავშირში, რაც არის სამწუხარო მოვლენა. განსაკუთრებით ადვილია ევროკავშირის ოფიციალურ სტრუქტურებზე გავლენის მოპოვება, გამომდინარე იქიდან, რომ ევროკავშირში გადაწყვეტილებები არსებითად მიიღება სრული კონსენსუსით 27 ქვეყნის მიერ. შესაბამისად, იქ საკმარისია, გლობალურმა ომის პარტიამ გავლენა მოახდინოს თუნდაც ერთ ქვეყანაზე და უკვე ის განაპირობებს ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც შედის მის ინტერესებში.

კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ დაკონკრეტება გამიჭირდება, თუმცა გავლენების მასშტაბი არის ძალიან დიდი და ვიტყვი, რომ ოფიციალურ სტრუქტურებზე აქვთ სერიოზული გავლენა როგორც ერთი, ისე მეორე მიმართულებით, ანუ საუბარია აშშ-სა და ევროკავშირზე, რაც არის სამწუხარო მოვლენა. მე მაქვს დიდი იმედი, რომ სამომავლოდ ეს ვითარება თვისებრივად შეიცვლება და მაქსიმალურად გათავისუფლდება, როგორც აშშ, ისე ევროკავშირი გლობალური ომის პარტიის გავლენებისგან“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ირაკლი კობახიძე: ეს საქართველოს სუვერენიტეტის მიმართ უხეში დამოკიდებულების გამოვლინებაა

ირაკლი კობახიძე ჟიგიმანტას პავილიონისის აქციაზე მისვლას ეხმაურება.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე აცხადებს, რომ კონკრეტული ქვეყნის პარლამენტის წევრის, ჟიგიმანტას პავილიონისის „გამჭვირვალობის შესახებ კანონპროექტის“ საწინააღმდეგო აქციაზე მისვლა საქართველოს სუვერენიტეტის მიმართ უხეში დამოკიდებულების გამოვლინებაა.

„ჟიგიმანტას პავილიონისის აქციაზე მისვლა არის, რა თქმა უნდა, იმის მაჩვენებელი, თუ როგორია ამ ადამიანების დამოკიდებულება სახელმწიფოსა და მისი სუვერენიტეტის მიმართ. ამდენი ხანი ჩვენ რასაც ვამტკიცებთ, იმის დასტური წარმოადგინა ბატონმა პავილიონისმა. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ვიღაცებს არ მოსწონთ, გულზე არ ეხატებათ საქართველოს სუვერენიტეტი. როდესაც კადრულობს კონკრეტული ქვეყნის პარლამენტის წევრი, უცხო ქვეყნის წარმომადგენელი პოლიტიკოსი, რომ უხეშად ჩაერიოს ამ ქვეყნის შიდა პოლიტიკურ საქმეებში, ამით ხომ ამტკიცებს იმას, რასაც ჩვენ ვამტკიცებდით ამდენი ხნის განმავლობაში, რომ ეს არის მათი დამოკიდებულება, მაგრამ ჩვენ არ ვაპირებთ, ლოიალური დამოკიდებულება გამოვავლინოთ ასეთი ინციდენტების მიმართ, რაც უკავშირდება საქართველოს სუვერენიტეტის მიმართ უხეში დამოკიდებულების გამოვლინებას“, - განაცხადა კობახიძემ.

ირაკლი კობახიძე: ვერავითარი მაიდანი და ამ ქვეყნის უკრაინიზაცია ვერ შედგება

პრემიერი დისკრედიტებული პოლიტიკური უმცირესობის შესახებ.

„რაც შეეხება თბილისის სამოქალაქო ომს, მაიდანს და ა. შ. და ამის გახსენებას, რა თქმა უნდა, საქართველოში ეს სცენარი ვერ შედგება, ამის არავითარი რესურსი არ აქვს იმ პოლიტიკურ უმცირესობას, რომელიც არის, ყველაფერთან ერთად, აბსოლუტურად დისკრედიტირებული“, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე ჟურნალისტის შეკითხვის პასუხად განაცხადა.

მისივე თქმით, საქართველოს უკრაინიზაცია ვერ შედგება.

„ნული კოორდინაცია, სრული დისკრედიტაცია, ეს არის საერთო სურათი რადიკალურ ოპოზიციაში, ასეთ ვითარებაში, რა თქმა უნდა, ვერავითარი მაიდანი და ამ ქვეყნის უკრაინიზაცია ვერ შედგება, ეს არ არის იანუკოვიჩის უკრაინა, მინდა შეგახსენოთ, ეს არის წელში გამართული სუვერენული სახელმწიფო, რომელსაც შეუძლია რეაგირება ძალადობის ნებისმიერ მცდელობაზე. შესაბამისად, საქართველოში უკრაინული სცენარი არ შედგება. აქვე მინდა შეგახსენოთ, როცა მაიდანს გვახსენებენ, თუ რა იყო მაიდნის გაგრძელება, ეს იყო, საბოლოო ჯამში, ერთი და მეორე ომი. პირველი ომის შედეგად უკრაინამ დაკარგა თავისი ტერიტორიების 8 %, ამას მოჰყვა მეორე ომი და კიდევ 12 %-ის დაკარგვა, ეს არის უმძიმესი შედეგები, რაც მიიღო უკრაინამ ამ პროცესებიდან, მაიდნიდან, პირველ რიგში. ჩვენს ქვეყანაში ამას არ დავუშვებთ, მით უმეტეს, მაშინ, როცა ეს ძალადობრივი პოლიტიკური გაერთიანება, პოლიტიკური უმცირესობა ცდილობს, რომ ასეთი სცენარი განახორციელოს,“- განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

რუსეთი და ამერიკა ერთმანეთის ტყავს არ დახევენ

გვესაუბრება პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე:

გამჭვირვალობის კანონი საქართველოს სახიფათო ტრაექტორიაზე აყენებს?

— ერთი საყურადღებო ფაქტით დავიწყებ: ამერიკაში დიდი ხმაურია ატეხილი — ბაიდენმა ისრაელს იარაღის მიწოდება შეუწყვიტა. ჟურნალისტები, პოლიტიკოსები, მას პირდაპირ მოღალატეს ეძახიან. ისრაელი — ერთადერთი ებრაული სახელმწიფო, რომელიც აგრესიული მუსულმანებით არის გარშემორტყმული, ამერიკის იმედზე არსებობს. მათ, უბრალოდ, ომი კი არა, არამედ ისრაელის გაქრობა სურთ. ერთ-ერთი ვერსიით, ბაიდენმა ეს გადაწყვეტილება იმიტომ მიიღო, რომ არჩევნებზე მუსულმანების ხმები მოიპოვოს. მე სულ სხვა რამ მაინტერესებს — ამერიკას ისრაელზე უფრო დიდი მეგობრობა არავისთან აქვს და მოგახსენეთ, რაც გააკეთა. მაშ, ჩვენ რისი იმედი უნდა გვქონდეს?! ეს საკითხი ყველასთვის დამაფიქრებელია. მით უმეტეს, ჩვენთვის, რადგან აქ ამერიკის ერთგულების კუთხით საზოგადოება ორად არის გახლეჩილი. გამჭვირვალობის კანონი, თურმე, ამერიკის მიმართ ჩვენს დამოკიდებულებას, ჩრდილს აყენებს. აი, ასეთი ვითარებაა — მსოფლიო პროცესებს აცდენილი ვართ. ბუნებრივია, საქართველო მსოფლიო პოლიტიკური სივრცისთვის პერიფერიაა.

სად არის დღეს საქართველო? ამჟამად საზოგადოებრივ აზრს სტერეოტიპები მართავს, მიუხედავად იმისა, რომ ვიცით, პოლიტიკაში მტრები და მეგობრები არ არსებობენ. ჯერჯერობით, ეს დაპირისპირება სჭირდება ოპოზიციასაც და დასავლეთსაც. საინტერესო სწორედ ის არის, რომ ამ დაპირისპირებაში ხელშეწყობა დასავლეთიდან მოდის. არ წყდება მუქარა, გაიწვიეთ კანონი, თორემ მოლაპარაკებებს არ გავხსნითო. ეს დასავლეთის მხრიდან დესტაბილიზაციის ცალსახა მხარდაჭერა, პროცესებში მხარედ ჩართვაა. ქვეყნის შიდა პროცესებში დასავლეთმა ერთი მხარე დაიჭირა და ჩვენს მთავრობას დაუპირისპირდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მას აქ ხელისუფლების შეცვლა აწყობს.

„არა რუსულ კანონს“ – ხელისუფლების შეცვლის ახალი გეგმა

— ბოლო დროს ამ პროცესებში ჩართულ ახალგაზრდებში ვამჩნევთ, რომ კანონზე აქცენტი ნაკლებად კეთდება და გაისმის მოწოდებები, შევცვალოთ ხელისუფლება, ან ისე ვანჯღრიოთ, რომ არჩევნებზე დამარცხდესო. გამჭვირვალობის კანონი იგივე როლს ასრულებს, რასაც წითელი ნაჭერი ხართან. კანონი იმისთვის სჭირდებათ, რომ მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ხელისუფლების ნდობა დაკარგოს. შედეგად, ვინ უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში, მარსიდან ხომ არავინ ჩამოვა. ხელისუფლებაზე თვალი ისევ „ნაცმოძრაობას“ უჭირავს.

ხომ ხედავთ, ბაიდენს რომ დასჭირდა, ისრაელიც კი ფეხზე დაიკიდა. 30 წელია, ევროპის იმედზე ვართ და შედეგი რა გვაქვს?! ახლა რომ გაჰყვირიან, არა რუსულ კანონსო, მათ შევახსენებ: თავის დროზე, საქართველოში არსებობა „კომუნისტურმა პარტიამაც“ კი ვერ შესძლო. დიახ, ვერ შესძლო, რადგან ხალხი რუსეთზე ორიენტირებული არ იყო და არ უნდოდათ ისეთი პარტია, რომელიც საქართველოში რუსულ გავლენას გაზრდიდა. მაშინაც კი ეს დამოკიდებულება იყო. როცა რუსეთი მთელი მსოფლიოსთვის განდევნილია, ახლა მოუნდა საქართველოს რუსეთთან ურთიერთობა?! ესეც სტერეოტიპული აზროვნებაა. სწორედ ამ სტერეოტიპის გამოყენებით სურთ ხელისუფლების შეცვლა.

აპრილში გადმოტანილი შემოდგომა

— ივანიშვილმა თქვა, რომ ნაცებს ახლა დაახარჯვინებს რესურსებს, ენერგიას და, შედეგად, არჩევნებისთვის მათ რესურსი აღარ ექნებათ. თუმცა, არ ვიცი, ეს რამდენად კარგად არის გათვლილი. ფეხბურთში ასეთ ხერხს იყენებენ: გუნდი სპეციალურად ტოვებს მოთამაშეს მეკარის პირისპირ, სხვა მცველების გარეშე. ამას თამაშგარე მდგომარეობა ჰქვია. მეტოქე, რომელიც თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდება, ჯარიმდება და ასე კარიც გადარჩება. მაგრამ თუ გუნდი ჩანაფიქრს ვერ განახორციელებს, მაშინ მის კარში გოლი გავა. ასე რომ, ტექნიკასაც აქვს მნიშვნელობა, მარტო განზრახვა არ კმარა, ამან მიზნამდეც უნდა მიგიყვანოს. აქ ორი მომენტია გასათვალისწინებელი: თუ რევოლუცია ახლა მოხდა, ეს უკანონო იქნება, მაგრამ თუ რევოლუცია არჩევნების გაყალბების მოტივით მოხდა, აქ უკვე მოსახლეობას უფლება აქვს, ხელისუფლებას აუჯანყდეს. ეს ჯანყი უკვე ლეგიტიმურობას იძენს. ანუ, თუ პროტესტი არჩევნების პერიოდში გადაინაცვლებს, გაცილებით ძნელი სამართავი იქნება. მერე არავინ დაიწყებს გარკვევას, არჩევნები მართლა გაყალბდა თუ არა. ხომ ხედავთ, კანონს არ კითხულობენ, მათ შორის, არც დასავლეთში. ეს არავის აინტერესებს. აქვე გასათვალისწინებელია კიდევ ერთი რამ, ახალგაზრდების პროტესტი შემოდგომამდე თუ შენარჩუნდა, ხელისუფლებას მოგება გაუჭირდება. შედეგად, ხმები დაიფანტება. ამიტომ, უმრავლესობით მოსვლა შეიძლება პრობლემური გახდეს. მოსახლეობის დიდ ნაწილს „ნაცმოძრაობა“ არ უნდა, ამიტომ თუ ვერცერთმა ვერ გაიმარჯვა, შეიძლება კოალიციური მმართველობის საფრთხეც დადგეს. და, დიდი შანსია, ამ კოალიციაში გადამწყვეტი ხმა „ნაცმოძრაობას“ ჰქონდეს. არსებობს საფრთხე, ხელისუფლება ნაცების ხელში აღმოჩნდეს. ამიტომ ხელისუფლებას დიდი გონიერების გამოჩენა მართებს, რათა მშვიდობა, სტაბილურობა შენარჩუნდეს.

გამოსავალი ქართველ ხალხშია. დიახ, გამოსავალს იმ ქართველებში ვხედავ, რომლებმაც თავის დროზე ილია კი მოკლეს, მაგრამ მერე კარგად დაიტირეს. მათ ვერ გათვალეს, რას ნიშნავდა ილიას წინააღმდეგ დაწყებული კამპანია — ის მემამულეა და გლეხებს ჩაგრავსო. გლეხები ამ კამპანიას აჰყვნენ, რომლის ავტორები სოციალისტები იყვნენ. ის, რომ ამ კამპანიის შედეგად საქართველომ დაკარგა ადამიანი, რომელსაც ქვეყნის წინაშე უდიდესი ღვაწლი ჰქონდა, ეს პოლიტიკური წინდაუხედაობის გამო ვერ გათვალეს. სწორედ ამის მეშინია, შეიძლება, ახლაც იგივე განმეორდეს. მით უმეტეს, საქმე გვაქვს ახალგაზრდობასთან, რომელსაც არც ცოდნა აქვს და არც გამოცდილება. ბევრმა მათგანმა არც იცის, რა ხდებოდა ქვეყანაში სააკაშვილის რეჟიმის დროს. მაშინაც დიდი ზარზეიმით აცხადებდნენ, ევროპისკენ მივდივართო, მაგრამ მიშამ მთელი სტრატეგიული ობიექტები რუსეთს გადასცა. ასე რომ, ესეც გასარკვევია, შევძლებთ კი კანონის უკან გაწევით ევროინტეგრაციის გზაზე შედგომას თუ პირიქით, რუსეთის ხაზაში აღმოვჩნდებით?!

საინტერესოა, დასავლეთის მწვავე განცხადებები ქმედებებში გადაიზრდება?

დასავლეთიდან ასეთი მწვავე, თან ორკესტრირებული განცხადებები არც მახსოვს. თან მდგომარეობა მეტად კომიკურია — კანონის შინაარსში არც ოპოზიცია შედის და არც დასავლეთი. უბრალოდ, გაიძახიან: არა რუსულ კანონს და მორჩა. წარმოიდგინეთ, მთელი დასავლეთი ზურა-გირჩის ძმის რეცეპტით მოქმედებს და კანონის შინაარსის განხილვაში არ შედის.

ვისგან მოდის მუქარის ზარები?

— გასაოცარია, დასავლეთი ჩვენ გვაკრიტიკებს, ამ დროს, ამერიკაში პოლიციელები მომიტინგეებს ფეხით ათრევენ და ამაზე პროტესტი არ უჩნდებათ!!! თან, იქ აქციებზე ხალხს უსწორდებიან სწორედ მაშინ, როცა ჩვენ თითს გვიქნევენ, მშვიდობიან მომიტინგეებთან ძალას ამეტებთო. ანუ, პოლიტიკა მხოლოდ იარაღით ბრძოლა არ არის. ეს ბრძოლა ახლა „ხავერდოვანი რევოლუციების“ გზით შემოვიდა. სახეზეა ორმაგი სტანდარტი, მაგრამ ვის შევჩივლოთ, რუსთაველი მკვდარია. გავაცნობიეროთ, რომ ეს ბრძოლის თანამედროვე მეთოდებია. ადრე ბრძოლა მშვილდისრებით ხდებოდა, მერე ტყვია-წამლით. ესეც ანალოგიური ომია, მას კანონები არ აქვს. დიახ, „ხავერდოვანი რევოლუციებიც“ ომია. დასაწყისში ბაიდენი ტყუილად როდი ვახსენე, ბრძოლა ისე მიდის, ახლობელზე და შორებელზე აღარ არის ლაპარაკი. ამერიკისთვის ისრაელი უკონკურენტო პარტნიორი იყო, მაგრამ ყველაფერი აყირავდა. ისეთ სამყაროში გვიწევს ცხოვრება, სადაც დედა შვილს არ აიყვანს. ნუ გამოვრიცხავთ, რომ ამერიკასაც იგივე უნდა, რაც შეიძლება რუსეთს უნდოდეს. მაგალითად, „ვარდების რევოლუციის“ დროს აშშ-ისა და რუსეთის ალიანსი საქართველოსთან მიმართებით, მკაფიო იყო. თუ დასჭირდათ, ისინი ერთმანეთის ტყავს არ დახევენ. დააკვირდით, ბაიდენი ცდილობს, რუსეთი ძალიან ცუდ დღეში არ ჩააგდოს. გამორიცხული არ არის, თუ ამერიკას დასჭირდა, რუსეთის სიამოვნებისთვის კონკრეტული ნაბიჯები გადადგას. მით უმეტეს, რომ არც ამერიკა უნდა იყოს აღფრთოვანებული იმით, რომ საქართველოზე ევროპისა და ჩინეთის ტრანზიტმა გაიაროს — ერთი ფეხებზე ჰკიდია, მეორეს კი ვერ იტანს. აი, ამ ვითარებაში გვებრძვიან ერთი ციცქნა ქვეყანას. უნდა ვეცადოთ, ამ ბრძოლებში ჩვენი ადგილი ვიპოვოთ. ქართველისთვის ის ამოცანა, რომ ბრძოლაში გადარჩეს, წარსული ისტორიიდან მოყოლებული, უცხო არ არის.





პრემიერი და ჟურნალისტები

ბოლოს ჟურნალისტებთან პრემიერის მიერ გამართულ შეხვედრაზეც მინდა ორიოდ სიტყვა გითხრათ. შენიშვნის სახით ვიტყვი, რომ ამ ტიპის ღონისძიება პრესსამსახურის ჩართულობით უნდა ჩატარებულიყო. ივანიშვილს მსგავს შეხვედრებზე ყოველთვის ახლდა პრესსპიკერი, რომელიც შეხვედრას წარმართავდა. ისეთი რანგის პიროვნება, როგორიც პრემიერია, არ შეიძლება ინტერვიუების წამყვანი იყოს. ეს მისთვის შეუფერებელი როლია. თანაც, ხომ ფაქტია, ეს სამი ქალი იქ შეურაცხყოფის მიყენებისთვის იყო მისული. თავად პრემიერმა ბრწყინვალე მაგალითი აჩვენა, თუ როგორ არ უნდა გადავარდე ემოციებში, როცა ასე გიტევენ. ბოლომდე ყურადღებით ვუყურე შეხვედრას და ჩემთვის ერთი ფრაგმენტი იყო მეტად საყურადღებო: ვეტოს გამოყენების საკითხი, რა დროსაც შესაძლოა, უცხოელ პარტნიორებთან ერთად გარკვეული საკითხები გადაიხედოს. როგორც ჩანს, მიდის მუშაობა იმ მიმართულებით, რომ კანონმა სახე შეიცვალოს. გამორიცხული არ არის, შექმნილი კრიზისიდან გამოსავალი მოიძებნოს. რაც შეეხება ოპოზიციონერ ჟურნალისტთა სამეულს, საშინელი შთაბეჭდილება დატოვეს. ამ სამეულის ქცევებმა, წესით, მოსახლეობას ყოველთვის უნდა გაახსენოს, მართლაც რა ინტელექტის, კულტურისა და ზრდილობის ხალხი მოვა ხელისუფლებაში, თუკი კოლექტიური ნაცები გაიმარჯვებენ. ეს ჟურნალისტები პოლიტიკურ ჯგუფებს წარმოადგენენ და მათი შეკითხვები პოლიტიკურად სრულიად მოუმზადებელი იყო. მათ გვაჩვენეს მოსახლეობისთვის აბსოლუტურად მიუღებელი სახე როგორც მედიის, ისე იმ პოლიტიკური ჯგუფისა, რომელთა რუპორებსაც ისინი წარმოადგენენ. მათი მოქმედებები მაყურებლის, ამომრჩევლის მიმართ უპატივცემულობა იყო.

თამარ შველიძე

„ქვიშის კაპიტნები“ – დიქტატურიდან დიქტატურამდე

გასულ დღეებში მიმდინარე ე. წ. საპროტესტო აქციებთან დაკავშირებით ერთმა ცნობადმა სახემ თქვა, ბავშვებს ნუ ურტყამთო. ეს ის ყოვლად უთამოყვარეო ახალგაზრდა ქალია, რომელმაც სისხლიან რუსთაველზე 26 მაისს მიხეილ სააკაშვილს და მის ბანდას უმღერა. დღეს იგი იმ „ბავშვებს“ ექომაგება, რომლებიც, პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით, ისევ იმათ ჰყავთ დაბანგულ-დაზომბებული, ვისაც მაშინ უმღერა. ამ ახალგაზრდა ქალისთვის ნაცსიბინძურე იმდენად მისეულია, რომ „ბავშვების“ მიერ კონკრეტული ტელევიზიის ჟურნალისტების შეურაცხყოფასაც კი იწონებს. დღესაც სიამოვნებით უმღერებდა მათვე, მაგრამ რაღაც აკავებს, მიუხედავად იმისა, რომ ის საყელყელაო სამსახური — ტელევიზია მიატოვა, რომელმაც ერთგვარად მაინც მოწმინდა დასვრილი პირისახე; მიატოვა გადაცემა, საიდანაც გვმოძღვრავდა ის უტიფარი, რომელმაც 70-ის ფარგლებში გამრავლების ტაბულაც კი არ იცის. ახია, „ოცნება“! ასე დააფარეთ კიდევ ხელი ნაცმავანთა ოჯახის წევრების სისხლის სამართლებრივ პასუხგებაში მიცემას ხელი, კრებსითი ნინი და ლელები კი იმღერებენ...

ბავშვი ვიყავი, როდესაც ჩემმა დეიდაშვილმა რაღაც ფილმის სანახავად წამიყვანა. ჩემი ასაკისთვის იმდენად აუტანელი ფილმი იყო, რომ რა ერქვა, არც ის დამამახსოვრდა და ცხადია, არც შინაარსი, მხოლოდ ჩემთვის ყოვლად მიუღებელი ქცევის ბავშვები მახსოვდა. გალაღებულ ბავშვს სასტიკად უარყოფითი ემოცია აღმეძრა.

საბჭოთა დრო იყო და საბჭოთა დოგმებით დადგენილი ცხოვრებით ვცხოვრობდით. მაგრამ იმ ფილმიდან, როგორც ჩანს, ჩემმა ქვეცნობიერმა რაღაც საშინლად არ მიიღო — აღმოვაჩინე, რომ კომუნისტურ დიქტატურაზე უფრო საშინელი რამაც არსებულა... და ის ფილმი მიმავიწყდა.

გავიდა ძალიან ბევრი წელი და აღმოჩნდა, რომ თურმე ჟორჟი ამადუს რომანის „ქვიშის კაპიტნების“ მიხედვით ამერიკელი რეჟისორის მიერ გადაღებული ფილმი „ქვიშის კარიერის გენერლები“ მინახავს. რატომ უნდა გამიჩინოს ინტერესი უპატრონო ბავშვების მავნებლობებმა და მათმა სიამოვნებისთვის მკვლელობებმა, არ ვიცი. ჩემთვის წარმოუდგენელია ყველა ფილმის ნახვა, ყველა წიგნის წაკითხვა...

ეს ყველაფერი იმ ერთმა ფარისევლურმა ფრაზამ ამომიყარა — „ბავშვებს ნუ ურტყამთ!“

ბავშვები სახლებში არიან, მავანთა მიერ დატრენინგებულ-დარეტიანებულები გროშების სანაცვლოდ ქუჩა-ქუჩა არ დაძრწიან შუაღამისას უწმაწური სიტყვების ყვირილით და ქალაქის ცენტრალურ ქუჩას არ აოხრებენ...

იმ ფილმში, ხელისუფლებამ კონტრზომების მიღება სცადა, მაგრად უკვე დაგვიანებული იყო, ჯარის გამოყვანა და ყველას დახვრეტა მოუწია — ათასობით ბავშვი მოკლეს. რომანზე და ფილმზეა საუბარი, მაგრამ...

იქ, ბრაზილიაში, ის ბავშვები არავის დაუტრენინგებია უცხო ქვეყნებიდან და არც ხელისუფლების ხელში ჩაგდებაზე ყოფილა საუბარი; არც სისხლიანი თუ უსისხლო რევოლუციების მოწყობაზე, ჩვეულებრივი ბაცაცები იყვნენ, თავდაპირველად მშივრები, შემდეგ უსისხლო მკვლელებად გადაქცეულები (ვიღაცებისთვის, ფილმის სიუჟეტი რომანტიზმშია გახვეული, ვიღაცისთვის — აუტანელ რეალიზმში).

ჩვენთან რა ხდება?

გასული საუკუნის ბოლოს, უცხო ქვეყნიდან დაატრენინგეს ბავშვობაში ჩარჩენილი და მიზეზთა გამო კომპლექსებით დახუნძლული თავზეხელაღებული უტიფარი და უმწიფარი გოგო-ბიჭები და მიზანში ამოღებულ საქართველოს, მათ სამშობლოს, გუნდად შემოუსიეს. 2001 წლის 30 ოქტომბერს, ალბათ, პირველი პატაკი არ იქნებოდა რომელიც გადაფრინდა მართლა ცხრა მთასა და ცხრა ზღვას, „ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის!“

ვერაფრით გააგებინებდი საქართველოს გონებადაბინდულ მოსახლეობას, რომ უშიშროების თანამშრომლების შესვლას მაშინდელ „რუსთავი-2“-ის ოფისში არანაირი კავშირი არ ჰქონდა არც სიტყვის თავისუფლების და არც არანაირი თავისუფლების შეზღუდვასთან. სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ეკონომიკური უშიშროების სამსახურის თანამშრომლებს უფლება ჰქონდათ, შესულიყვნენ ნებისმიერ შპს-ში, სადაც ეჭვი ექნებოდათ, რომ განსაკუთრებით დიდი ოდენობის გადასახადებისგან თავის არიდების ფაქტები არსებობდა. „რუსთავი-2“, ჩვეულებრივი შპს, ვალდებული იყო, დამორჩილებოდა მოსამართლის გადაწყვეტილებას შემოწმების შესახებ.

„ვისაც გადატრიალება უნდა, საკუთარ ლოგინში გადატრიალდეს“, — ეს ცნობილი სიტყვები ედუარდ შევარდნაძეს ეკუთვნის, არადა, სახელმწიფო გადატრიალების არაერთი მცდელობა იყო ხან ტერაქტებით, ხან მძიმე ეკონომიკურ და სოციალური ფონზე ხელისუფლებაზე ღია ზეწოლით, შანტაჟით, პროვოკაციებით, გარე ძალებთან ალიანსით და სხვა ათასგვარი ხერხით.

პიარი რა იყო, ვინ იცოდა მაშინ, ჰოდა, ასე შეასაღეს გონებადბინდულ ხალხს იმ დროს „ახალგაზრდა რეფორმატორები“ ინტელექტუალებად. შევარდნაძემ გამოზარდა ეს ახალგაზრდები და გარედან ასეც ჩანდა, რომ მის კურსს თავგამოდებით მიჰყვებოდნენ, მაგრამ ჩუმად, სწორედ სახელისუფლებო პარტიაში ყოფნის დროს მოახერხეს მათ საკმაოდ სერიოზული საინფორმაციო ინფრასტრუქტურის შექმნა. იოზეფ გებელსის სიტყვები „მომეცით მასობრივი საინფორმაციო საშუალებები და ნებისმიერ ხალხს ღორების კოლტად გადავაქცევ“ წარმატებით განახორციელეს. იმ დროს თუ რამე გაჟღერდებოდა „რუსთავი-2“-ზე, უტყუარ მტკიცებულებად იყო მიჩნეული, ეჭვი არ ეპარებოდა უდიდეს უმრავლესობას, სჯეროდა, რომ შიშველ სიმართლეს ეუბნებოდნენ, არადა, სინამდვილეში, მათ მწარედ ატყუებდნენ და ასულელებდნენ.

მართალს ბრძანებდა ოტია იოსელიანი, ერთი და ორი შტერი ყველგან შეიძლება იყოს, მაგრამ ჩვენ სხვა უბედურება გვჭირს, ეროვნული გამოთაყვანება დაგვემართაო.

„ინტელექტუალმა ახალგაზრდა რეფორმატორებმა“ გარს შემოირტყეს პრივილეგირებული არასამთავრობო ორგანიზაციების მთელი ჯაჭვი, რომლებსაც იმ დროს ჟვანია-სააკაშვილის ტანდემის ხელშეწყობით, ადვილად მიუწვდებოდათ ხელი გრანტებსა და დაფინანსების სხვა წყაროებზე. სანაცვლოდ, ეს ორგანიზაციები მათ სამსახურში ჩადგნენ რუპორებადაც და კუდისმჭერლებადაც.

მოსახდენი მოხდა და „ახალგაზრდა რეფორმატორმა ჭინკებმა“ საქართველო გაყიდეს. მყიდველისთვის მთავარი ტერიტორია იყო, გეოგრაფიული მდებარეობა, თორემ ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხი რაში აინტერესებდა. როგორც სხვაგან აკეთებდნენ, საქართველოშიც დასვეს თავიანთი მარიონეტი მთავრობა და ასე მივიღეთ სააკაშვილის დიქტატურა, რომელსაც იმდენად ასდიოდა სისხლის სუნი, რომ მთავარ საფუძველს, ლიბერალური დიქტატურის სუნს ფარავდა.

ახლა რა ხდება?

ახლა თუ ძალიან, ძალიან გაუჭირდათ და მცირერიცხოვანი გონებადაბინდული ჩამოყალიბებული ასაკის ადამიანია, ვინც „ალა ლუშული კანონი“ დაიდო ენაზე, მაშინ ბევრი აიყოლიეს.

აბსოლუტურად იგივე!

იგივენი არიან ავანსცენაზე, იგივეა უცხო ქვეყანაც (იბარტყეს და ახლა ვასალებიანად არიან წარმოდგენილები), მაგრამ ახლა ფინანსურად ბევრად მომძლავრებულები არიან. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ მაშინ გაბრიყვებული ერი და ბერი ედგათ მხარში, ახლა კი მხოლოდ გაბრიყვებული დაკარგული თაობა ჰყავთ პაიკებად, უწიგნური ახალგაზრდობა მოჩანგლეს დასაყრდენად. ამიტომაც უნდა მომსპარიყო განათლების სისტემა — გაუნათლებელი ბრბო ხომ ადვილი სამართავია...

დაფაზე ფიგურების იგივე განლაგებაა, მაგრამ ილეთები დაუძველდათ, რადგან „თავი“ დალპა, ღლავის ლპობა კი თავიდან იწყება. მასწავლებლები ილეთებიანად დაუბერდნენ, მოსწავლეები კი ვერ აზროვნებენ, მათ ხომ მხოლოდ ის იცოდნენ, რაც დააზეპირებინეს და ის სიტუაცია მივიღეთ, როცა უტვინო თავი ფეხებს ძალას ატანს...

„ლოგინში გადატრიალება“ შემთხვევით არ მიხსენებია, „ყავლგასულ რევოლუციონერებს“ დემოკრატიის სახელით გადატრიალების მცდელობა უკვე ორჯერ ჰქონდათ 2020-2023 წლებში, რომელიც აშშ-ის ყოფილი ელჩის მხარდაჭერითა და გარედან დაფინანსებული ნჯო-ების მეშვეობით განხორციელდა. მაშინდელი მცდელობები წარმატებით რომ დაესრულებინათ, ახლა სიტყვად ითქმის, „მეორე ფრონტი“ გვექნებოდა გახსნილი საქართველოშიო, მაგრამ საკითხავია, საქართველო იქნებოდაღა?

საქართველოს ორ ფრონტზე ბრძოლა ისედაც უწევს — ცალკე ლიბერალიზმის დიქტატურის, ცალკე — დემოკრატიული დიქტატურის დამყარების მცდელობას ეწინააღმდეგება. ამ ბრძოლის გზაზე, დაუღალავად სამართებლის პირზე გადის საქართველოს ხელისუფლება. ხალხი ბორგავს, მაგრამ საქართველოს ხელისუფლება, როგორც ვხედავთ, ფიქრობს, რომ მას დასაკარგავი შვილი არ ჰყავს და კანონით დადგენილ უმკაცრეს ზომებს არ მიმართავს.

ჩვენ „ქვიშის კაპიტნები“ არ გვყავს, მაგრამ სანაცვლოდ, გვყავს კაპიტანი გიგაურები, უსახური უსამშობლოები, უზნეოები, უტიფრები, უსირცხვილო უპატრონოები, რომელთაც მხოლოდ ერთი პატრონი ჰყავთ — ორი გროშის გადმომგდები უცხოელი ბატონი!

შეკრიბეს და გამოყარეს ქუჩაში ეს უპატრონი „ქვიშის კაპიტნები“ და თავშისახლელად ხელისუფლებასა და ხალხს მიუგდეს. ხალხის მოთმინების ძაფი ისე დაიჭიმა, გაწყდომამდე ბევრი აღარ უკლია. ამის მაგალითად ისიც კმარა, რა შემთხვევებიც გმირთა მოედანზე დაფიქსირდა.

ხალხმა უკვე გაამართლა ამ უსახურ მასაზე ძალადობა, რასაც ძარღვიანი ქართული ენით „ფეხქვეშგაგდება“ და „თხლეშვა“ ჰქვია...

მე რომ ერთი კანონმორჩილი ქართველი ვარ, ცოტა ტრადიციული, ცოტა კონსერვატორიც, ცოტცოტა ყველაფერი, მაგრამ ქართველი და მხოლოდ ქართველი, ამიტომ ჩემზე კანონი უნდა კანონობდეს, ის კი, ვინც პოლიციელი ცოცხლად დასაწვავად გაიმეტა, ან სახელმწიფო გადატრიალებისკენ დაუღალავად მოუწოდებს თავის გამოამფეტამინებულ „ქვიშის კაპიტნებს“ და ხელშეუხებლად დასეირნობს, როგორც მოქალაქეს, რა განწყობა უნდა მქონდეს

რაც დღეს ხდება, ეს არის დაფინანსებული ძალების ისტერია

ნომრის სტუმარია პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, პროფესორი, თადარიგის პოლკოვნიკი ლევან ნიკოლეიშვილი.

– ბატონო ლევან, გავრცელდა ინფორმაცია, რომ დავით კეზერაშვილი ფულს უხდის კონკრეტულ ევროპარლამენტარებს, რომ საქართველოში ჩამოვიდნენ და „რუსული კანონი“ გააპროტესტონ. აღნიშნულის შესახებ თქვენც წერდით სოციალურ ქსელში... რამდენად შეესაბამება ეს ინფორმაცია სიმართლეს?

– საუბარია იმ ევროპარლამენტარებზე, რომლებიც ლობირებენ „ნაციონალურ მოძრაობას და იზიარებენ მათ ზრახვებს. ამერიკული „ფარას“ კანონიდან არაერთხელ გახდა ცნობილი, რომ ამ ადამიანებმა მიიღეს გარკვეული ანაზღაურება ევროპარლამენტის რეზოლუციების საქართველოს საწინააღმდეგოდ შემუშავების სანაცვლოდ. ქართულმა საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ გლობალური ომის პარტიისა და კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობის“ პარტნიორები, ევროპის პარლამენტების საგარეო საქმეთა კომიტეტების თავმჯდომარეები, თბილისში ვიზიტს აპირებენ და საქართველოს სუვერენიტეტის წინააღმდეგ მოქმედებებს გეგმავენ, რაც მათი მხრიდან უკვე არაერთხელ ვიხილეთ.

ჟიგიმანტას პავილიონისი და სხვა მარიონეტი პოლიტიკოსები, მოსყიდული მოლაპარაკე თავები არიან, რომლებიც საქართველოს მეორე ფრონტის გახსნისკენ, უკრაინიზაციისკენ მუწოდებდნენ, აქტიურად იყვნენ და არიან ჩართულები სააკაშვილის გათავისუფლების მცდელობაში. ყველა ტრიბუნას და ინსტრუმენტს იყენებენ, რათა ბიძინა ივანიშვილს და ქართულ სახელმწიფოს სანქციები დაუწესდეს, უხეშად ერევიან საქართველოს შიდა საქმეებში და ჩვენს სუვერენიტეტს არაფრად აგდებენ.

ჩემთვის გასაკვირი არ არის მათი ქმედებები და მოტივი, რადგან ისინი პირდაპირ არიან დაკავშირებული „ნაციონალური მოძრაობის“ სპონსორებთან და გლობალური ომის პარტიასთან, რომელიც ყველანაირად ცდილობს, საქართველოში რევოლუციური სცენარით შეცვალოს ხელისუფლება, ხოლო შემდგომ ჩვენი სამშობლო პოლიგონად გადააქციოს.

ჩემი ინფორმაციით, ევროპელი პენსიონერების და ქართული სახელმწიფოს მძარცველი კეზერაშვილი ზემოთ ნახსენებ პოლიტიკოსებს კვიპროსში შეხვდა და ზოგს 100 000, ზოგს 50 000 ნაძარცვი დოლარი გადაუხადა, რათა სტაბილური ლობისტური საქმიანობის გარდა, უხეშად ჩაერიონ მიმდინარე პროცესებში და გამჭვირვალობის ქართული კანონის წინააღმდეგ ორმაგი ძალისხმევით იბრძოლონ.

სწორედ ამიტომ, მინდა მოვუწოდო უცხოელ პოლიტიკოსებს, თავი შეიკავონ დესტრუქციული ქმედებებისგან და არ გაბედონ საქართველოში რადიკალურ ძალებთან ერთად მოქმედება, რადგანაც მათი სქემები გაშიფრულია და სახელმწიფო გადატრიალების გეგმაში მონაწილეობის მიღება მათთვის გამოუსწორებელ შედეგებს გამოიწვევს.

– საინტერესოა, ევროპარლამენტი არჩევნებისთვის ემზადება. მათ დეპუტატებს კი აქ ჩამოსასვლელად და მიტინგზე დასადგომად სცალიათ?

– ეს აბსურდია. სწორედ ეს და სხვა არაერთი ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ კეზერაშვილი აფინანსებს ამ ადამიანებს. ჯერ საერთოდ, ვინ მისცათ მათ უფლება, რომ საქართველოს შიდა საქმეებში ჩაერიონ და ხალხის მიერ არჩეულ პარლამენტს მიუთითონ, რა კანონი მიიღონ და რა არა საკუთარ ქვეყანაში?! მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ მათ უარი განუცხადა მიღებაზე, მოუცლელობის გამო, კონკრეტული ევროპარლამენტარები მაინც ჩამოვიდნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ ოპოზიციურ მხარესთან უნდათ შეხვედრა და ცალმხრივი ინფორმაციის საფუძველზე უნდათ ცალკეული დასკვნების გამოტანა. რეალურად კი მათ დასკვნები წინასწარ აქვთ გაკეთებული და იციან, რა უნდა თქვან, როცა ჩამოვლენ.

დიდი ალბათობით, მალე ეს კონკრეტული ევროპარლამენტარები ევროპარლამენტში აღარ იქნებიან, რადგან არჩევნების შემდეგ, იმედია, ევროპა ღირსეულ ადამიანებს წარადგენს პარლამენტში. ევროპაში ამჯერად გაცილებით სავალალო პროცესები მიმდინარეობს, ვიდრე საქართველოში. ჩვენ ვიცით, რომ სანქციები აქვს დაწესებული ევროკავშირს და ცალკეულ ევროპულ სახელმწიფოებს რუსეთთან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გარკვეულ ქვეყნებში რუსეთთან სავაჭრო ბრუნვა იმაზე მეტად გაიზარდა, ვიდრე ეს რუსეთ-უკრაინის ომამდე იყო. თან ომია რუსეთთან, თან ურთიერთთანამშრომლობენ. ეს არის ორმაგი სტანდარტი, რა მორალზეა საუბარი?! როგორ შეიძლება, სხვას უკითხავდე მორალს, სხვას აძლევდე „რჩევებს“, შენ კი ამის საპირისპიროდ მოქმედებდე? ვხედავთ, რომ აშშ-ს აქვს კანონი უცხოური გავლენის გამჭვირვალეობის შესახებ, კანადამ ის ახლახან მიიღო, საფრანგეთმა მიიღო, ევროკავშირის სხვა ქვეყნებიც ფიქრობენ მსგავსი კანონის მიღებას, ყველა ქვეყანა იზღვევს თავს უცხოური გავლენისაგან, აბსოლუტურად გამჭვირვალედ უნდათ ყველაფერი და ჩვენ რატომ არ გვაქვს მისი მიღების უფლება?! ერთი არგუმენტიც ვერ მოვისმინე ვერც ევროპარლამენტის ოფიციალური პირების და ვერც ჩვენი რადიკალების მხრიდან, თუ რატომ არის ეს კანონი „რუსული“ და რატომ ეწინააღმდეგება ის ჩვენი ქვეყნის ევროკავშირში გაერთიანებას?!

– რამდენიმე დღის წინ, პრემიერ-მინისტრის ჟურნალისტებთან შეხვედრაზე თითქოს ყველა კითხვას პასუხი გაეცა, თუმცა, აღმოჩ-

6 გვ. →

და რანაირად უნდა გავისიგრძეგანო, რომ მე ამ ქვეყნის კანონების წინაშე მორჩილების ვალდებულება მაქვს?

არასდროს არ დასრულდება ეს დომხალი, სანამ კანონი ყველასთვის არ იკანონებს!

ხელისუფლებავ, მურვანყრუობა დაგემართა, ხალხის ხმა არ გესმის?!

გამორჩეულად აგრესიულად რომ იქცევიან და შსს-ს არ აკავებინებთ, ან დააკავებენ და შემდეგ ე. წ. საპროცესოთი უშვებს „კეთილი მოსამართლე“, სანამ მართლა არ მიიღებთ იმ რაოდენობის უკვე „ქვიშის კაპიტნებს“ კი არა, არამედ „ქვიშის კარიერის გენერლებს“, ვერ უნდა მიხვდეთ, რომ კანონი ყველა დამნაშავისთვის უნდა გააცოცხლოთ?

თუ ასეთი ჰუმანურები ხართ, ხელბარგში ჩაუდეთ ეს აგრესიული „შიგ ევროპელები“ თავიანთივე ტრენერებს, რომლებიც, როგორც „გამზრდელი“ გვასწავლის, რეალურად შაყსაკრავები არიან და ჰაიდა, სანატრელ ევროპაში! ბუნდესტაგის დეპუტატი თომას ჰაკერი ხელისუფლების საწინააღმდეგო აქციაზე რომ იდგა, აშშ-ში (არა მხოლოდ) ამის გამო ქვეყნიდან გააძევებდნენ, ირანში კი (არა მხოლოდ) — სულაც თავს მოაჭრიდნენ...

რაც შეეხება ნჯო-ებს, ჯერ აუდიტური გაშიშვლება და შემდეგ არავითარი საპროცესო გარიგება — ასე ძნელია ამის გაგება?!

„ბავშვები“ რომ მოგიყარეს, „ქვიშის კაპიტნები“, ერთმანეთს რომ წაეკიდნენ და ეს კადრები ვიხილეთ, როგორ გგონიათ, გაბრუებულებმა თუ არაგაბრუებულებმა ამდენ მოზღვავებულ ემოციასა და ენერგიას რომ ვეღარ გაუძლოს ერთმა, ხომ მივიღებთ „ბევრს“ და ხომ მოგაწერენ მსხვერპლს თქვენ? ხომ მოგახსენათ უკვე წინსწრებით ჭიაბერაშვილმა ამის შესახებ?

ხომ კარგად იცით, ვინ ხელმძღვანელობს ამ „ორკესტრს“, რატომ იქცევით იმ პროკურორივით, წლების წინათ რომ წამოროშა შეკითხვაზე პასუხად: „დუმილის უფლებას ვინარჩუნებ!“

გასაგებია, ვიცით, რომ მათ „მასწავლებლებლებს“ ვერაფერს დააკლებთ, მაგრამ მათ „მოსწავლეებს“ თუ უბატონოდ ვერ სცემთ ხმას, სახელმწიფო კი არა, მართლა აშშ-ის კოლონია ვყოფილვართ!

ბრიყვთათვის შეფუთეს ხელისუფლების ხელში ჩაგდებისთვის ბრძოლა „კი — ევროპას, არა — რუსეთს“ კამპანიით, თორემ რეალურად „კი — სააკაშვილის (აშშ-ის) სისხლიან დიქტატურას, არა — ქვეყნის სუვერენიტეტს“ რომ ჰქვია, ხომ ვიცით.

დამალვაც მოსწყინდათ უკვე და ღიად გამოჩდნენ. გვარამიამ საჯაროდ დაწერა რევოლუციური მითითებები, ნანუკამ — საბუღალტრო ანგარიში და ა. შ. ჩადგნენ მწკრივში ნჯო-ებთან ხელჩაკიდებულნი.

„რისი მაქნისია ლიბერალიზმი, თუ ის სახელმწოფოსა და სარწმუნოებას ვნებს; რისი მაქნისია დემოკრატია, თუ ჩემს ქვეყანაში სხვა ერები ჩემს ხმას გადააჭარბებენ“, — ადოლფ ჰიტლერის სიტყვებია, მაგრამ შესადავებელია?

„წითელ პარასკევს“ ანთებული სანთლებით ისხდნენ ქართველი „ქვიშის კაპიტნები“ ქალაქის ცენტრალური გზის ბლოკირებულ ნაწილზე და რომ გამიკვირდა ეკლესიის მაგინებლებისგან ლოცვა, აღმოჩნდა, რომ „მარსელიოზას“ მღეროდნენ...

გავიხედე და ეკლესიაში დავინახე მეორე ჯგუფი, „ქრისტე აღდგა მკვდრეთითო“, სიცილით „გალობდნენ“, წამომწყები ის გოგო იყო, ლგბტ-მეთაური, 9 აპრილის მემორიალიზე მოცეკვავე, რომელიც მეორე დღეს უკვე პატრიარქის შეურაცხყოფით გამოვიდა, მოგვიანებით კი, გინებ-გინებით, ქაშვეთში სულაც საკურთხეველში შევარდნენ გატრეტილები. გავიგეთ, რომ ასე უწერიათ აკერმანის სახელმძღვანელოში, მაგრამ ყველამ ხომ არ იცის, რომ „ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის“ და გამოჩნდა მოწონებები, „რა საყვარლები არიან“, „აი, ქართული სული“ და ა. შ. — ქართული სულები ქართულია, „აკერმანების“ დაწერილზე არ ბუქნავენ...

შესაძლოა, ყველას ყველაფერი არ ახსოვდეს, მაგრამ მე მახსოვს მათიას იორშის, ევროსაბჭოს ემისრის, „ნაცბანდის გამპრავებლის“ ერთ-ერთი ჩამოსეირნება მხოლოდ ერთი საქმისთვის, რომ ნჯო-ებსა და ახალ სახალხო დამცველს შეხვედროდა. საქართველო კიდევ ერთხელ გლოვობდა საკუთარ, სამუდამოდ მიძინებულ ვაჟკაცებს, თვით საქართველო სააკაშვილის ციხეში გმინავდა, ის კი იმით დაინტერესდა, ხომ არაფერი აწუხებდათ პედერასტებსა და რელიგურ უმცირესობებს.

„აჩრდილი დადის ევროპაში,



აჩრდილი კომუნიზმისა“, — წერდნენ მე-20 საუკუნეში ევროპაში. ახლა ვისი აჩრდილი გალაჯულა, მათივე წიაღიდან შობილი ამერიკელი კოლონიზატორებისა?

საქართველოში რისი აჩრდილიც დადის, ჩვენ ის ვინაღვლოთ და ვუწამლოთ!..

სხვათა შორის, კომკავშირლებიც „ბავშვები“ იყვნენ, სამრეკლოებიდან აღტკინებულები რომ ყრიდნენ ზარებს; 21 წლის ქართველი ყმაწვილის ლექსიდანაა „მე მამას მოვკლავ, დავახრჩობ დედას, რევოლუციამ თუკი მიბრძანა!“ („ქალაქის ბაღში“).... ამიტომ არ გამკვირვებია, რომ აქციაზე მყოფ უსამშობლო „ბავშვს“ ორგანიზაცია ევროკავშირის დროშა ჰქონდა შემოხვეული, მის ძაღლს კი სამშობლო საქართველოსი — ძაღლი აღმოჩნდა სამშობლოს მქონე...

ამასობაში სამოქალაქო დაპირისპირების ნიშნები მკვეთრად ძლიერდება, ჩვენ კი ისიც ვერ გაგვიგია, რაზე მიმდინარეობს ჩვენით ვაჭრობა და, საერთოდ, რისი იმედი აქვს ხელისუფლებას, როცა სანახევროდ მოქმედებს და უკიდურესად ჭიმავს ხალხის მოთმინება-ჟგუტს?..

„საქართველოს მმართველი პარტია არ არის პრორუსული. ისინი პრაგმატისტები არიან, რომლებსაც გულწრფელად აწუხებთ თავიანთი პატარა ერის სუვერენიტეტის შენარჩუნება“, — სიტყვა შეგვაწიეს აშშ-იდან და გაგვიხარდა. ახლა მეფისნაცვალი ჩამოვიდა იმავე აშშ-იდან.

თუ მართლაც ასეა, დააგვირგვინეთ ყველაფერი ისე, როგორც ამას ქართული სახელმწიფო მოითხოვს და სწორედ პრაგმატული მიდგომით მოსპეთ ყველანაირი უკანონო კანონი, რაც შეურაცხყოფს ღვთისმშობლის წილხვედრ სამოთხეს დედამიწაზე!

მაია ჭელიძე

რაც დღეს ხდება, ეს არის დაფინანსებული ძალების ისტერია

5 გვ.

ნდა თუ არა ეს პასუხები რადიკალებისთვის და მათი „პატრონებისთვის“ სარწმუნო, ეს ცალკე თემაა. როგორ შეაფასებდით ამ შეხვედრას?

- თუ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური სიტუაციის მიმართ გულგრილი არ ხარ, ამ შეხვედრაზე საინტერესო რა უნდა ყოფილიყო. მით უმეტეს, ვიცით, რომ ირაკლი კობახიძე გაწონასწორებული, მშვიდი, განათლებული და საკმაოდ კომპეტენტური რესპონდენტია. უნდა აღინიშნოს, რომ ჟურნალისტებმა (ცხადია, „გადაცმულ“ ჟურნალისტებს არ ვგულისხმობ) საკმაოდ მწვავე და საინტერესო კითხვებიც დასვეს, რაზეც პრემიერმა დამაჯერებელი და არგუმენტირებული პასუხები გასცა. შეხვედრა იმითაც იყო საინტერესო, რომ მოხდა კიდევ ერთი ლუსტრაცია, უფრო სწორად, საზოგადოების მეტი ნაწილისთვის გახდა ცხადი ის, რაშიც შეიძლება ზოგიერთს ეჭვი ეპარებოდა: ჩვენ გვყავს ღირსეული ჟურნალისტები და გვყავს ჟურნალისტებად წოდებული პოლიტიკოსები.

ოპოზიციურ სპექტრს აქვს თავისი პროპაგანდის მანქანა, რომლიც აგებულია ტყუილზე, დეზინფორმაციაზე, პანიკის დათესვასა და სიტუაციის გამწვავებაზე. ამ პროპაგანდის აპარატში არიან რადიკალები, რომლებიც ჟურნალისტების სახელით საქმიანობენ. შეხვედრაზე ჩვენ ვნახეთ, თუ როგორ ცდილობდა ჟურნალისტის მანტია შემოხვეული სამი პროპაგანდისტი რადიკალი შანტაჟისა და დებოშის ფორმატით მცირე, იაფფასიანი კლოუნადის მოწყობას, რაც, ცხადია, არ გამოუვიდათ და შერცხვენილებს (თუკი მათ ეს გრძნობა გააჩნიათ) ადრიანად მოუწიათ შეხვედრის დატოვება. ბევრს არ ვიტყვი იმის თაობაზე, პრემიერმა კობახიძემ რამდენჯერ ამხილა „გადაცმული“ ჟურნალისტები ტყუილში, გაუნათლებლობასა და უზრდელობაში, მაგრამ საგულისხმო იყო, რომ რადიკალებს შეტევის მცდელობა ჰქონდათ იქ მყოფ ნამდვილ ჟურნალისტებზე, რომლებმაც თავხედებს აბსოლუტურად სამართლიანი პასუხი გასცეს.

შეიძლება დანარჩენ ჟურნალისტებსაც, რომლებმაც კრიტიკული შეკითხვები დასვეს, არ მოეწონათ პრემიერის რომელიმე პასუხი, მაგრამ არც ერთს უკადრებია ზღვარის გადალახვა, ყველამ შეინარჩუნა პროფესიული სახე, ზრდილობა, ოჯახიშვილობა...

ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, ვალდებული ვარ, ვუყურო ყველა არხს და გამოვიტანო შესაბამისი დასკვნა მრავალფეროვანი ინფორმაციის საფუძველზე, მაგრამ ვიცნობ ადამიანთა კატეგორიას, რომელიც ამბობს, რომ მხოლოდ კონკრეტულ არხებს უყურებს და ვინც ამ პროპაგანდისტებს უყურებს მხოლოდ, რომლებიც მაყურებელზე მანიპულირებენ, რა უნდა ქნან ამ ადამიანებმა, როგორ დაინახონ რეალობა?

- ცოტა ხნის წინ სუს-მა გამოაქვეყნა განცხადება, სადაც საუბარია აკერმანის მიერ ჩატარებული ძალადობრივი სწავლების მეთოდებზე, რომლის მიზანია საქართველოში მიმდინარე პროცესების ე. წ. „მაიდანიზაცია“, 90-იანი წლების სამოქალაქო დაპირისპირების მსგავსი მოვლენების პროვოცირება და მიმართა ორგანიზატორებს, რომ დესტრუქციული გეგმების განხორციელების შემთხვევაში, გატარდება მყისიერი სამართლებრივი ღონისძიებები... აღნიშნული განცხადების შემდეგ კი უკვე აქციის რამდენიმე აქტივისტიც დააკავეს...

- სუს-ს აღნიშნული განცხადება სერიოზული გაფრთხილებაა იმ ხალხის მიმართ, ვინც უბრალო ადამიანების მსხვერპლის ფასად ცდილობენ თავიანთი ავადმყოფური პოლიტიკური ჟინის დაკმაყოფილებას და რევოლუციის მოწყობას. რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამას, კარგად იცის მან, ვისაც საქართველოს უახლესი ისტორია და სამოქალაქო ომი ახსოვს. თუმცა ის ფაქტი, რომ სუს-ი ასეთ განცხადებას აკეთებს, ნიშნავს, რომ შესაბამისი უწყებები მზად არიან პრევენციული ღონისძიებების გასატარებლად. კანონის აღსრულების „ბადეს“, სრულიად სამართლიანად, სავარაუდოდ, რამდენიმე რადიკალი პოლიტიკოსი და არასამთავრობოს წარმომადგენელიც მოჰყვება. ამ დროს არათუ აქაური რადიკალების, არამედ მათი უცხოელი პატრონების აღშფოთება-შეშფოთებაც არ მიიღება გამოხატვის თავისუფლებისა და პოლიტიკური დევნის შესახებ, მით უმეტეს, როცა საკითხი ქვეყნის სტაბილურობასა და სუვერენიტეტს შეეხება.

ძალადობა არის ცივილიზებული სამყაროსთვის სრულიად მიუღებელი ფორმა, ვის მიმართაც უნდა ხორციელდებოდეს და ვინც უნდა სჩადიოდეს ამას, პოლიციელი იქნება ეს თუ უბრალო მოქალაქე. არც კანონი და არც საზოგადოება არ უნდა იყოს ლოიალური მოძალადის მიმართ, რადგან ძალადობა შობს ახალ ძალადობას, რამაც შესაძლოა, ძალიან ცუდ შედეგებამდე მიგვიყვანოს. თუმცა, ჩვენ გვახსოვს ძალადობის პირველი გამოვლინება ამ ცოტა ხნის წინ, ალეკო ელისაშვილის მიერ, პარლამენტში. წამით დავფიქრდეთ, ვინმეს რომ მსგავსი რამ ჩაედინა წინა ხელისუფლების პირობებში, რა მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა ის ადამიანი? ვხედავთ ძალადობას პოლიციელებზე, სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენლებზე, რაც, რა თქმა უნდა, ასევე დაგმობილი უნდა იყოს. კანონი ყველასთვის ერთია და არ შეიძლება, მაგალითად, ერთი ტელევიზიის ჟურნალისტებზე თავდასხმა გააპროტესტო და სხვა ტელევიზიების წარმომადგენლებზე თავდასხმაზე არაფერი თქვა.

გვესმის რადიკალების ტირილი და გოდება, „რუსული კანონის“ მოწინააღმდეგეებს პოლიტიკური ნიშნით აკავებენო, მაგრამ პოლიციელებზე თავდასხმა, სახელმწიფო საკუთრების დამტვრევა და ვანდალიზმის სხვა ნიშნები როდის გახდა დასავლური ფასეულობა და ევროკავშირში შესვლის აუცილებელი პირობა?!

კანონი თანასწორი უნდა იყოს ანთა საკმაოდ დიდ რაოდენობას?! ეს არის არასწორი მიდგომა. იქნებ, „სასწრაფოს“ უნდა გავლა, იქნებ, „სახანძროს“, იქნებ ავადმყოფს უნდა მიუსწროს ვიღაცამ, იქნებ, უბრალოდ, დაღლილი ბრუნდება სამსახურიდან ადამიანი და საკუთარ სახლში დასვენება უნდა - ვინ მოგცათ ჩვენი დაზარალების უფლება?! სწორედ ასეთი იძულების ფორმა იწვევს ძალადობას. ეს არის საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა. დაუწესონ ჯარიმა მათ, ვინც ამ ყველაფრის ორგანიზატორია, ვინც გზას უკეტავს ადამიანებს და ყოველგვარი დარბევის გარეშე გადაწყვიტონ პრობლემა. ზოგადად კი, რომ გვქონდეს კანონი ცილისწამებისა და ადამიანის შეურაცხყოფის შესახებ, ნაკლები ორომტრიალი იქნებოდა ქვეყანაში.

- სიტუაცია ჩიხში შედის, გამოსავალი, ჯერჯერობით, არ ჩანს. როგორ ფიქრობთ, ასეთ ვითარებაში რა უნდა მოიმოქმედოს ხელისუფლებამ?

- საინტერესოა, რატომ არის რადიკალური ჯგუფებისთვის, ოპოზიციისთვის, არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, ეგრეთ წოდებული კრიტიკული ტელევიზიებისთვის, დე ფაქტო პრეზიდენტისთვის და უცხოური პოლიტიკური ელიტისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, რომ „ქართულმა ოცნებამ“ არ მიიღოს ქართული კანონი, რომელსაც კოლექტიურად „რუსული“ უწოდეს? რატომ არ უნდათ, რომ დაელოდონ არჩევნებს და თუ ასეთი „ძლიერები“ არიან, მისცენ ხალხს არჩევანის საშუალება? - როგორც ჩანს, აქაც და

ნებისმიერი ადამიანის მიმართ. მე, მაგალითად, როგორც მძღოლი, ხშირად ვარღვევ წესებს და ამის გამო ხშირადაც მაჯარიმებენ. თუმცა, თუ მკითხავთ, 10-დან 5 შემთხვევაში, საკუთარ ბრალეულობას არ ვაღიარებ და მივიჩნევ, რომ არაფერი დამირღვევია. ამის მიუხედავად, მაინც ვიხდი ყველა ჯარიმას, რადგან ვარ ჩვეულებრივი მოქალაქე და არაფრით ვარ სხვაზე მეტი კანონთან მიმართებაში, რომ ჯარიმა არ გადავიხადო. ახლა კი მაინტერესებს, მე თუ ვიხდი ჯარიმას, ანუ სასჯელს, იმის გამო, რომ კანონთან მიმართებაში არ ვიყავი მართალი, ვიხდი ჩემი ხელფასიდან და ვაკლებ ჩემს ოჯახს... მაშინ რატომ არ ჯარიმდებიან ის ადამიანები, რომლებმაც გადაკეტეს გმირთა მოედანი და დისკომფორტს უქმნიდნენ ადამიანთა საკმაოდ დიდ რაოდენობას?! ეს არის არასწორი მიდგომა. იქნებ, „სასწრაფოს“ უნდა გავლა, იქნებ, „სახანძროს“, იქნებ ავადმყოფს უნდა მიუსწროს ვიღაცამ, იქნებ, უბრალოდ, დაღლილი ბრუნდება სამსახურიდან ადამიანი და საკუთარ სახლში დასვენება უნდა - ვინ მოგცათ ჩვენი დაზარალების უფლება?! სწორედ ასეთი იძულების ფორმა იწვევს ძალადობას. ეს არის საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა. დაუწესონ ჯარიმა მათ, ვინც ამ ყველაფრის ორგანიზატორია, ვინც გზას უკეტავს ადამიანებს და ყოველგვარი დარბევის გარეშე გადაწყვიტონ პრობლემა. ზოგადად კი, რომ გვქონდეს კანონი ცილისწამებისა და ადამიანის შეურაცხყოფის შესახებ, ნაკლები ორომტრიალი იქნებოდა ქვეყანაში.

- სიტუაცია ჩიხში შედის, გამოსავალი, ჯერჯერობით, არ ჩანს. როგორ ფიქრობთ, ასეთ ვითარებაში რა უნდა მოიმოქმედოს ხელისუფლებამ?

- საინტერესოა, რატომ არის რადიკალური ჯგუფებისთვის, ოპოზიციისთვის, არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, ეგრეთ წოდებული კრიტიკული ტელევიზიებისთვის, დე ფაქტო პრეზიდენტისთვის და უცხოური პოლიტიკური ელიტისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, რომ „ქართულმა ოცნებამ“ არ მიიღოს ქართული კანონი, რომელსაც კოლექტიურად „რუსული“ უწოდეს? რატომ არ უნდათ, რომ დაელოდონ არჩევნებს და თუ ასეთი „ძლიერები“ არიან, მისცენ ხალხს არჩევანის საშუალება? - როგორც ჩანს, აქაც და უცხოეთშიც ზუსტად იციან, რომ არჩევნებში მათი გამარჯვება გამორიცხულია, ამიტომაც ცდილობენ რადიკალური ქმედებებით რევოლუციური მუხტის შექმნას!

მსოფლიოს ბევრ მნიშვნელოვან ნაწილში უსაფრთხოების არქიტექტურა ისევ გამოწვევის წინაშეა: ჯერჯერობით, ვერც უკრაინაში, ვერ აღმოსავლეთში (ვგულისხმობ ისრაელი-ღაზა-პალესტინას) ვერ მოხერხდა დაგეგმილი სცენარით მოვლენათა განვითარება. სამწუხაროდ, არც სამხრეთ კავკასიის ორ სახელმწიფოს - აზერბაიჯანსა და სომხეთს აქვს ერთმანეთთან გარანტირებული მშვიდობა. ამ ყველაფერს ემატება აშშ-ში დაწყებული საარჩევნო ბატალიები, რომელიც მალე უფრო გამძაფრდება, საბოლოოდ კი ხელისუფლებაში რესპუბლიკელების მოსვლით დასრულდება. ევროპის ბევრ ქვეყანაში მოსალოდნელია ხელისუფლების ცვლილებები. ამიტომაც ჩქარობენ გარკვეული ძალები, რომ საქართველოში დაგეგმილი პოლიტიკური ავანტიურა როგორმე არჩევნებამდე გაათამაშონ და მოაგვარონ. წარმატების შემთხვევაში, გახარჯული მილიონების გამართლება შესაძლებელი იქნება, ხოლო წარუმატებლობის შემთხვევაში, რასაც მე გარდაუვალად ვხედავ, მოუწევთ საკუთარი გადასახადების გადამხდელებთან სერიოზული პასუხისგება!

ხელისუფლებამ უნდა გამოიჩინოს პრინციპულობა, რადგან, რაც დღეს ხდება, ეს არ არის მაინცდამაინც კანონის წინააღმდეგ გამოსვლები. ეს არის დაფინანსებული ძალების ისტერია, რომლებმაც კარგად იციან, რომ არჩევნებს ვერ მოიგებენ, რადგან მათ ამის არც პროგრამა და არც რესურსი არ გააჩნიათ. ეს არის დიდი რეპეტიცია, რაც, საბოლოო ჯამში, მათივე მომხრეებში გამოიწვევს უნდობლობას. თუმცა, ფსევდო ლიბერალური ძალები ნელ-ნელა გაქრება და თუკი ისე წავიდა პროცესი, როგორც ველოდებით, დასავლეთიდან მეტ მხარდაჭერასაც მივიღებთ. მერწმუნეთ, ამერიკას და ევროპას იმაზე ბევრად მეტი სატკივარი აქვს, ვიდრე საქართველოში რომელიმე კანონის მიღების ან არმიღების საკითხია. ისეთი ამბები ხდება მსოფლიოში, საქართველოსთვის ვის სცხელა დღეს! იმდენად დიდი პრობლემების წინაშე დგას დასავლეთი, რუსეთ-უკრაინის ომი იქნება ეს, ღაზას სექტორი თუ სხვა... შემიძლია ნაძლევი დაგიდოთ, რომ საქართველო და მისი კანონპროექტი არც კი გაახსენდებოდათ, ვინმეს რომ ამის შესახებ კითხვა არ დაესვა. თუმცა, იქ არიან ჩანერგილი ჟურნალისტები, რომლებიც ამ შეკითხვებს სვამენ და სწორედ აქედან მოდის ყველაფერი.

ბოლოს კი, მინდა საზოგადოებას სიფხიზლისაკენ მოვუწოდო და გავაფრთხილო, არ აყვნენ მოსყიდული პოლიტიკოსების განცხადებებსა და ქმედებებს. ჩვენს ქვეყანაში ჩამოსულმა ყველა ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ საქართველო სტუმართმოყვარე ქვეყანაა და მტერსაც და მოყვარესაც ისე დახვდება, როგორც ჩვენნაირ თავისუფლებისმოყვარე ერს ეკადრება.

ნონა ქარქაშაძე

რადიკალები გაფართხალების ბოლო სტადიაში იმყოფებიან

„საერთო გაზეთთან“ საუბრობს პარტია „ხალხის ძალის“ წევრი ზურაბ ქადაგიძე

- ბატონო ზურა, რამდენიმე დღის წინ, პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქშოუების წამყვანებთან შეხვედრა გამართა. რა გამოიკვეთა ამ შეხვედრაზე და მიიღო თუ არა საზოგადოებამ პასუხები კანონპროექტთან დაკავშირებულ შეკითხვებზე?

- აბსოლუტურად ყველა კითხვაზე უპასუხა პრემიერ-მინისტრმა. თვალშისაცემი იყო ის ფაქტი, რომ ირაკლი კობახიძეს თითოეულ კონკრეტულ დეტალზე აქვს სრული ინფორმაცია, მზაობა და გარკვეული სტრატეგია იმისათვის, თუ როგორ უნდა ვმართოთ პროცესები და როგორ ავიცილოთ თავიდან არასასიამოვნო სიტუაციები. რაც შეეხება ტექნიკური საკითხს - საერთოდ ვერ მოვისმინეთ დასმული შეკითხვები ეგრეთ წოდებული კრიტიკული მედიის წარმომადგენლების მხრიდან. აქ იყო, უბრალოდ, სურვილები, ვიღაცის ნათქვამი ფრაზების გამეორება, ისტერიკა... თუ ასე სამარცხვინოდ უნდა გამოსულიყვნენ, ჯობდა, საერთოდ არ მოსულიყვნენ ამ შეხვედრაზე. ირაკლი კობახიძეს, ბევრ კარგ თვისებასთან ერთად, აქვს განსაკუთრებული უნარი, რომელიც გამოარჩევს, როგორც ძლიერ პოლიტიკოსს - ის აბსოლუტურად გაწონასწორებული ადამიანია და მას „ამხანაგო ირაკლითი“ და სრულიად დაუმსახურებელი შეურაცხყოფით შენი თამაშის წესებზე ვერ გადაიყვან.

თავიდანვე წაგებულ თამაშში შევიდნენ ჩვენი რადიკალები, როდესაც ასეთი მდარე სპეკულაციები დაიწყეს. რაც ვნახეთ, ეს იყო ეგრეთ წოდებული კრიტიკული მედიის რეალური სახე. სინამდვილეში კი, კრიტიკულ ჟურნალისტიკას აბსოლუტურად სხვა გასაქანი აქვს დემოკრატიულ ქვეყანაში. არის ბევრი საშუალება იმისათვის, რომ საკუთარი პროფესიონალიზმი დაამტკიცო, პროფესიისადმი ერთგულება დაამტკიცო და საქვეყნო საქმე აკეთო, თუნდაც კრიტიკული მიდგომებით მისცე საზოგადოებას საშუალება, სწორად შეაფასოს სიტუაცია და თავად გააკეთოს დასკვნები ამა თუ იმ საკითხთან მიმართებაში.

ამ შეხვედრაზე ვნახეთ აბსოლუტურად ანგაჟირებული სუბიექტური პერსონები, სახედაკარგული ადამიანები, რომლებსაც ჟურნალისტებსაც ვერ ვუწოდებ, რადგან ამ ძალიან მაგარი პროფესიის მქონე ადამიანებს შეურაცხყოფა არ მივაყენო... ყველაზე საშინელი იყო მათი განაცხადი, რომ თითქოს მხოლოდ ისინი არიან ამ ქვეყნის პატრიოტები, ამ ქვეყნის შვილები, ყველა დანარჩენები კი მონები ვართ! ფორმალურადაც კი არ დაიცვეს კოლეგიალობა და არა მხოლოდ პრემიერ-მინისტრს, საკუთარ კოლეგებსაც შეურაცხყოფა მიაყენეს.

- ვფიქრობდი, რომ „კრიტიკული მედიის“ წარმომადგენლების სამარცხვინო გამოსვლის შემდეგ, მათი მხარდამჭერები სულ ცოტა, უხერხულობას მაინც იგრძნობდნენ, მაგრამ კომენტარებს რომ გადავხედე სოციალურ ქსელში, ჟიჟილაშვილმა ისტორია დაწერაო, სიამაყით აცხადებენ...

- რა თქმა უნდა, ჟიჟილაშვილმა დაწერა აბსოლუტური უმეცრების ისტორია! ბოდიშს მოგიხდით, მაგრამ ერთი არაეთიკური ანეკდოტი გამახსენდა, - ადამიანს თავზე ანერწყვებენ და, უი, რა კარგი წვიმა მოდისო, ამბობდა... სწორედ ასეთ მდგომარეობაშია ახლა ჩვენი ოპოზიცია. ესენი ხომ სხვა სამყაროში ცხოვრობენ, სადაც მათ გარდა არ არსებობს სხვა მედიასაშუალება, სადაც მხოლოდ მათი აზრია ჭეშმარიტი აზრი, მათი ცხოვრების წესია მთავარი ცხოვრების წესი... ისინი ცხოვრობენ სამყაროში, სადაც ტრანსპარანტებით კეთდება პოლიტიკა, ეკონომიკა... ლაგდება ადამიანებს შორის ურთიერთობები... მათ ძალიან ბევრი რამ აქვთ დასაკარგი და სწორედ ამის გამო კადრულობენ ყველაფერს. ამ კანონით ისინი კარგავენ საზოგადოებაზე გავლენის იმ მცირე ბერკეტებსაც კი, რაც გააჩნიათ. ახლა ხომ ვითომ „თავისუფალი მედიის“ სახელი აქვთ (თუკი კეზერაშვილის მედიას ასე შეიძლება ეწოდოს), მაგრამ, როდესაც მათი დაფინანსების წყაროები გაირკვევა, როცა გავიგებთ, საიდან ფინანსდებიან, ვინ აფინანსებს და რა მიზნით, საზოგადოება დაინახავს, თუ როგორი „თავისუფლებიც“ ყოფილან...

გარდა ამისა, პარტია „ხალხის ძალის“ მოთხოვნაა, გასამართლდეს „ნაციონალური მოძრაობა“, როგორც ძალადობრივი მანქანის შემქმნელი სუბიექტი და მოხდეს მისი სამართლებრივად შეფასება. აქედან გამომდინარე, არჩევნების დასრულების შემდეგ, ისინი პოლიტიკურ პერსპექტივასაც კარგავენ და როგორ წარმოგიდგენიათ, კონსტრუქციულად იმოქმედებენ? 12 წელი ჰქონდათ მათ ამისი საშუალება, მაგრამ არ გამოიყენეს, ანჯღრიეს ეს ქვეყანა, როგორც შეეძლოთ და დღეს თუ არა, ხვალ მაინც მოგვიწევდა მისვლა ამ წერტილამდე. დღეს არის მომენტი, როდესაც არანაირი ზღვარი აღარ არსებობს და რადიკალები ბოლო გაფართხალების სტადიაში არიან.

- პატიმარი სააკაშვილი კლინიკიდან ახალ მითითებებს იძლევა და სახელმწიფო გადატრიალების გეგმაზე საუბრობს. რას აკეთებს ხელისუფლება იმისათვის, რომ რადიკალებმა თავიანთი გეგმები ვერ განახორციელონ?

- რევოლუციის მოხდენა ქვეყანაში არ არის დამოკიდებული პოლიტიკური უმცირესობის სურვილზე. მათ 12 წელია უნდათ რევოლუცია, მაგრამ არ გამოსდით. რევოლუცია ხდება ქვეყანაში, სადაც არ არსებობს ძალოვანი სტრუქტურები, არ არსებობს სახელმწიფო ინსტიტუტები, არ არსებობს პოლიტიკური გუნდი, ლიდერშიპი, ისტებლიშმენტი, არ არსებობს დემოკრატიული პროცესები და ასე შემდეგ... 15-20 ათასი აგრესიული ადამიანი ვერ მოახდენს რევოლუციას, ეს არის აბსურდი და ფარსი. სააკაშვილმა დაამარცხა 50 დაავადება, დემენცია და ახლა გმირად უნდა, რომ მოგვევლინოს. თავისი ტყავის გადასარჩენად ცდილობს, რომ იქნებ, რამე „გამოწუროს“ ამ პროცესებიდან. პრაქტიკულად, ოპოზიცია ვა-ბანკზე წავიდა, მთელი თავისი კაპიტალი ერთ ციფრზე დადო. ეს ციფრი თუ დაუჯდებათ, - იგებენ, თუ არადა, აბსოლუტურად წაგებულები რჩებიან. ეს შანსი უნდა გამოიყენოს სააკაშვილმა, რომ რამენაირად საკუთარი თავის რეაბილიტაცია მოახერხოს. ცდილობს, არავის დაავიწყდეს და გაიხსენონ, რომ ისიც აქ არის! ასე აგიჟებენ ერთმანეთს, მაგრამ მათ ამბიციებს ქვეყანას ვერ გადავაყოლებთ!

- გამოქვეყნდა ჩანაწერები, სადაც ოპოზიციის დანაშაულებრივი ქმედებები იკვეთება, თუმცა ჯერ კიდევ დასადგენია მათი ავთენტურობა. არის მუქარები და ზეწოლა, როგორც ერთი, ასევე მეორე მხრიდან. პოლიციამ დააკავა ბლოგერი, რომლის სახლშიც, იარაღთან ერთად, ასობით ადამიანის პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერები აღმოაჩინეს... თითქოს სიტუაცია ჩიხში შევიდა, საიდანაც გამოსავლის პოვნა ძნელია...

- ძალადობის ნებისმიერი გამოვლინების წინააღმდეგი ვარ. 2004 -2005 წლებიდან ვიბრძვი „ნაციონალური მოძრაობის“ რეჟიმის წინააღმდეგ. ალბათ, სულ 20 კაცი ვიკრიბებოდით ჯერ მხოლოდ, როცა ამ რეჟიმს ვაპროტესტებდით. პირველად მაშინ დაგვარბიეს და სრულიად არამართლზომიერი ძალადობა ვიგემე საკუთარ თავზე. ამიტომაც ჩემთვის ეს მიუღებელია, რომელი მხრიდანაც უნდა იყოს. თუმცა, რაც სამხედრო ანალიტიკოსის, უჩა აბაშიძის შესახებ მოვისმინე, ასეთი მასშტაბის სიბინძურე და სიმახინჯე არ მინახავს და არც მომისმენია. წარმოუდგენელია, რასაც ეს ადამიანი კადრულობდა. ჯერ ერთი, სერიოზულ ფსიქიატრიულ პრობლემასთან გვაქვს საქმე, ეს არის ავადმყოფობა, როცა საკუთარ ოჯახის წევრს იღებ და ამ ფარულ გადაღებაში ფიგურირებენ სხვა ადამიანებიც და თუკი ამ ყველაფერს შემდეგ უკვე კომპრომატად ან საკუთარი მიზნის განსახორციელებლად იყენებ, ეს არის უმძიმესი დანაშაული. როგორც გავიგე, კონკრეტულ საქმეზე შევიდა პოლიცია და ამ პიროვნების სახლში გაცილებით საშინელი სურათი დახვდათ. რაც უნდა თქვან, წარმოუდგენელია, ფარული კადრები „ჩაგიდონ“ საკუთარი ხელით დამონტაჟებულ ვიდეოკამერაში, ამ დონის „გაყალბება“ შეუძლებელია. რას საქმიანობდა ეს ადამიანი რეალურად და რა მასშტაბის დანაშაულთან გვაქვს საქმე, ეს აუცილებლად გასარკვევია.

ზოგადად, ფარული კადრებით მანიპულირება „ნაციონალური მოძრაობის“ ხელწერაა. მათ სხვაგვარად არ შეეძლოთ საკუთარ მეგობრებთან, პოლიტიკურ პარტნიორებთან ურთიერთობაც კი. ასე იყო მათი ხელისუფლებაში ყოფნის დროს და ამას განაგრძობენ დღემდე. შეიძლება ეს ბიჭი არ იყო უშუალოდ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი, მაგრამ ამ „ბარდაკის“ პროვოცირებაში ერთ-ერთი ამბიციური აქტივისტი იყო.

- საინტერესოა, რატომ ვერ შეძლო დღემდე ხელისუფლებამ, რომ ჩვენს დასავლელ პარტნიორებს გამჭვირვალეობის კანონის შემოტანის საჭიროება დაანახოს?

- არანაირ კანონზე არ არის საუბარი. ამ შემთხვევაში იტყოდნენ, რა არის მასში რუსული და, კონკრეტულად, რა არ მოსწონთ! არაერთხელ განაცხადა ბატონმა პრემიერ-მინისტრმა, რომ მზად არის ელჩებთან შესახვედრად და კანონშემოქმედებითი პროცესის მათთან ერთად გასავლელად, მაგრამ ეს პოლიტიკური სპეკულაციის საგანია. განა ვერ დავანახეთ, მათ არ უნდათ დანახვა! ისეთივე დამოკიდებულება აქვთ კანონპროექტის მიმართ, როგორიც ჩვენს რადიკალებს - შინაარსი არ აინტერესებთ, მაგრამ „იციან“, რომ ეს კანონი არის „რუსული“! ეს არის დავალება რადიკალების მხრიდან, რომ ადამიანებზე ემოციურად იმოქმედონ და, გარკვეულწილად, ახერხებენ კიდევაც ამას.

- გავრცელდა ინფორმაცია, რომ კეზერაშვილი 50 ათას დოლარს სთავაზობს, ქვეყანაში ცხოვრების უზრუნველყოფით, ყველა იმ ევროპარლამენტარს, რომელიც საქართველოში ჩამოვა, მომიტინგეებს შეუერთდება და იყვირებს „არა რუსულ კანონს“!..

- არ არის გამორიცხული. ახლანდელი ევროპარლამენტი ცნობილია კორუფციული გარიგებებით და პოლიტიკური სკანდალებით. კორუფციული გარიგებების გამო პასუხისგებაში მისცეს რამდენიმე ევროპარლამენტარი, ზოგსაც იმუნიტეტი შეუწყვიტეს და რა გასაკვირია, თუ კალიურანდები და კუბილიუსები კეზერაშვილთან გარიგებაზეც წავლენ.

ის ფაქტი, რომ საკუთარი ქვეყნის ჯარის მძარცველი, ქართული საზოგადოების მყვლეფავი და შემდეგ უკვე ევროპელი პენსიონერების მძარცველი კეზერაშვილი ევროსტრუქტურებში მიღებული ადამიანია, - მათი სირცხვილი და უთავმოყვარეობაა. ფული რომ აიღონ, საერთოდ არ გამიკვირდება, რადგან ისინი დიდი ხანია, ჩართული არიან ბინძურ პროპაგანდაში, რომელსაც ხან გიული ალასანია აფინანსებს ამერიკიდან და ხან „ნაციონალური მოძრაობის“ სხვა წარმომადგენლები. თან, მალე მათთან არჩევნებია, არავინ იცის, ეს დეპუტატები დარჩებიან თუ არა ევროპარლამენტში და ცოტა ფული ნამდვილად არ აწყენდათ.

ნონა ქარქაშაძე

ადრე შაჰის კარზე დარბოდნენ, დღეს კი ევროპაში დარბიან სამშობლოს გასაყიდად

მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე „საერთო გაზეთთან“ საუბრობს „აზერბაიჯანელთა ეროვნული კონგრესის“ თამჯდომარე, პოლიტოლოგი ალი ბაბაევი.

- მინდა, პირველ რიგში, მადლობა გადავუხადო „საერთო გაზეთს“ იმისთვის, რომ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს აძლევს ტრიბუნას. ასე იყო ადრეც, ცხონებული ვახტანგ ხარჩილავას რედაქტორობის პერიოდში და ასეა ახლაც. ტელეკომპანია „ფორმულაზე“ აზერბაიჯანული გადაცემა გადის და ისე ჩანს, თითქოს აზერბაიჯანელთა უმეტესობა ხელისუფლების მოწინააღმდეგეა და მხოლოდ მიტინგებზე დარბის, რადგან მედია არ იწვევს მათ გადაცემებში, არ ეკითხება აზრს, განწყობას... ძალიან დიდი მუშაობა უნდა გავწიოთ ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებთან, რეგიონებში, სოფლებში, თბილისში, სტიმული უნდა მივცეთ. ადრე თუ ქართულენოვანი კადრი ძალიან ცოტა იყო ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, დღეს უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდების უმეტესობა უმუშევარია, ან საზღვარგარეთ მიდის სამუშაოდ. ამ კადრებს ვკარგავთ და ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ ველარ ვიყენებთ. დავასაქმოთ ეს ახალგაზრდები სკოლებში, საბავშვო ბაღებში, ადგილობრივ თვითმმართველობებში, სადაც იმუშავებენ ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ, თორემ არასამთავრობო ორგანიზაციები იზიდავენ ამ ბავშვებს და ამიტომაც არის, რომ მიტინგებზე ეთნიკური უმცირესობების ბევრი წარმომადგენელი შეინიშნება. კარგი იქნება, თუ კონსტრუქციულ ტელეკომპანიებში მიიწვევენ ამ ადამიანებს, ვინც ერთგულია ჩვენი ქვეყნის, ვინც ქართულენოვანია, გამოიყვანენ, ალაპარაკებენ, სოციალურ კვლევებს ჩაატარებენ... ეს ყველაფერი დაეხმარება ეროვნული უმცირესობების იმ წარმომადგენლებსაც, რომლებმაც ენობრივი ბარიერის გამო ნაკლებად იციან, რა კეთდება ქვეყანაში, რა პროექტებია, რა სიკეთეებია, რომ ჩალით არ არის დახურული ეს ქვეყანა... და აღარ დავკარგავთ ამ ადამიანებს, როგორც ამომრჩეველს და აღარ გავხდით ქვეყნის მტრების სამიზნედ.

- ბატონო ალი, მრავალი წელია, არასამთავრობო ორგანიზაციას ხელმძღვანელობთ. ასეთი რთულია, რომ მსგავსი ორგანიზაციების საქმიანობა გამჭვირვალე იყოს?

- მე ვარ არასამთავრობო ორგანიზაციის „საქართველო - ჩემი სამშობლოა“ თავმჯდომარე 30 წლის განმავლობაში. ვარ ასევე არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს აზერბაიჯანელთა ეროვნული კონგრესის“ თავმჯდომარე. რატომ მე არ მაძლევენ ეს ჩვენი პარტნიორი საელჩოები, ან ევროპის და ამერიკის ფონდები დაფინანსებას? -რამდენჯერმე მქონდა ამის შემოთავაზება უცხო ქვეყნების მხრიდან, როდესაც ომბუდსმენის აპარატში ვმუშაობდი, მაგრამ ასეთი მარტივი არ არის, ნებისმიერი შემოთავაზება მიიღო. მე არ ვარ თანახმა, ავიღო ისეთი ვალდებულებები, რითაც ჩემი ქვეყნის კეთილდღეობას უნდა შევეწინააღმდეგო, ჩვენს ტრადიციებს და პრინციპებს უნდა დავუპირისპირდე. მირჩევნია, ვიღაცის მონა არ გავხდე ჩემი ქვეყნის საწინააღმდეგოდ, ვიდრე ვიყო რომელიღაც ქვეყნის ინტერესების გამტარებელი და უზრუნველად ვცხოვრობდე. არ ვამბობ, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები კარგ საქმეებსაც არ აკეთებენ, მაგრამ თუ ასეა, დაანახე საზოგადოებას რას აკეთებ, რისთვის იხდი ფულს და რა მიზანს ემსახურება შენი ფინანსური დახმარება. სხვას ხომ არაფერს ითხოვს ეს კანონი?

საკმაოდ რთული გეოპოლიტიკური ვითარებაა ჩვენს გარშემო. რუსეთ-უკრაინის ომი არა და არ სრულდება. ასევე, გვქონდა მოლოდინი, რომ აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის სამშვიდობო ხელშეკრულებას ხელს მოაწერდნენ, მაგრამ ჯერ ვერც ამას მივაღწიეთ. რეგიონში ჩვენი ქვეყანა იყო სტაბილურობის ცენტრი და სწორედ საქართველო იყო მედიატორი სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის, მაგრამ ხომ ხედავთ, ახლა ჩვენთან რაც ხდება. დღეს ჩვენი თანამემამულეები, ეგრეთ წოდებული ოპოზიციის წარმომადგენლები, რომლებიც ვითომ ევროპისკენ ისწრაფვიან, ცდილობენ, ჩვენი ქვეყნის სტაბილური მომავალი დაანგრიონ. ვითომ ევროპა აინტერესებთ, მაგრამ მათი სამარცხვინო საქციელი არც ევროპულ და არც ქართულ სტანდარტებში არ ჯდება. კარგა ხანს ვერ დაივიწყებს საზოგადოება, ალბათ, იმ სამი ეგრეთ წოდებული ჟურნალისტის მიერ წარმოდგენილ „შოუს“ პრემიერ-მინისტრთან შეხვედრაზე, რომელიც არანაირ ჟურნალისტურ და ადამიანურ სტანდარტებში არ ჯდება. როგორც ვნახეთ, რადიკალებისთვის არანაირი ზღვარი აღარ არსებობს. რომ არა პრემიერ-მინისტრის თავშეკავებული, გაწონასწორებული ხასიათი და ღირსეული ოპონირება, ეს უღირსები სწორედ იმ მიზნით იყვნენ მისული, რომ შეხვედრა ჩაეშალათ...

დროა, შეჩერდნენ, თორემ გაშიფრულია უკვე ყველა, ვინ რა პოლიტიკას ატარებს და რისთვის ატარებს! ხალხის მტრებს არანაირად არ აძლევთ ხელს, რომ დღევანდელმა ხელისუფლებამ გეზი აიღო ქვეყნის დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად, სუვერენიტეტის განსამტკიცებლად. ჩვენ არა ვართ ის ხალხი, რომ ვიღაცის მონები ვიყოთ, ჩვენ მზად ვართ მასპინძლობისთვის, მეგობრობისთვის, თანამშრომლობისთვის, პარტნიორობისთვის, მაგრამ ორმხრივი უნდა იყოს ეს ყველაფერი.

როგორც აშშ-ში, ასევე ევროპარლამენტში არიან ადამიანები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტს პატივს სცემენ, გვითანაგრძნობენ... ამიტომაც კარგი იქნებოდა, ამ ჩვენმა მეგობრებმა რეკომენდაციები მოგვცენ, კონსულტაცია გაგვიწიონ, თუკი ნამდვილად რამეს არასწორად ვაკეთებთ და თითი არ დაგვიქნიონ, რადგან ჩვენ არა ვართ ის ქვეყანა, რომელიც ასეთ დამოკიდებულებას იმსახურებს.

- საკმაოდ დიდ წინააღმდეგობას ვხვდებით კონკრეტული ევროპელი დეპუტატების მხრიდან. არადა, არაერთ ქვეყანაში მოქმედებს უკვე მსგავსი კანონი...

- თუ სამართლიანობა და გამჭვირვალეობა ნამდვილად ევროპული ფასეულობებია, მაშინ მათ ტაში უნდა დაგვიკრან იმის გამო, რომ ამ კანონპროექტზე ვმუშაობთ. მაგრამ, მოდი, ევროპელებს ნუ დავემდურებით, მთავარი ფაშისტები, მთავარი სეპარატისტები აქ გვყავს, ჩვენს ქვეყანაში. ჩვენ რომ ევროპისთვის ვიბრძოდით, ისინი კაბინეტიდან კაბინეტში დაძრწოდნენ და ევროპელ დეპუტატებს საქართველოს წინააღმდეგ განაწყობდნენ. დღეს ხომ ხედავთ, რა ხდება - ეს „განუბაჟებელი“ ყოფილი პრეზიდენტი, რომელიც საქართველოს მოქალაქეც კი არ არის, ადამიანი, რომელმაც საკუთარი მოქალაქეობა გაყიდა, ისევ განკარგულებებს გასცემს და არ ისვენებს. კომფორტულ კლინიკაში კი არა, გლდანის ციხეში, სამარტოო საკანში უნდა იყოს ეს ადამიანი.

ევროპაში ინტეგრაციისთვის „ნაციონალურ მოძრაობას“ ერთი ნაბიჯი მაინც გადაუდგამს? ეს კი არა, რუსეთთან ოთხი სადავო საერთაშორისო სასამართლო მოვიგეთ, მაგათი გაფუჭებული საქმე ჩვენ გამოვასწორეთ და კიდევ იმდენია გამოსასწორებელი, რომ ათწლეულები შეიძლება დაგვჭირდეს ამისათვის.

- გამოსავალს სად ხედავთ, ბატონო ალი?

- ადამიანებს, რომლებიც ცხრა წლის განმავლობაში ატერორებდნენ თავიანთ ხალხს, მოსწყინდათ ოპოზიციაში ყოფნა, ხელისუფლებაში დაბრუნება გადაწყვიტეს და ამის გამო ყველაფერზე მიდიან. მათ შორის არიან ისეთებიც, ვისაც ცალი ფეხი ერთ ნავზე აქვს, მეორე - მეორეზე და რომელი ნავიც დაიძვრება, იქ შეხტებიან. თავის დროზე ბარამიძის ბრძანებით, ერთ დღეში 5600-ზე მეტი ის ოფიცერი გაათავისუფლეს სამსახურებიდან, რომლებსაც საბჭოთა განათლება ჰქონდათ მიღებული... „ქართული ოცნება“ რომ მოვიდა, პირველ რიგში, არც ერთი „ნაციონალი“ არ უნდა დაეტოვებინათ სახელმწიფო სტრუქტურებში, რადგან დღეს თუკი ვინმე ხელისუფლებას ზურგიდან დანას ჩაარტყამს, სწორედ ის პორტირებულები იქნებიან, რომლებიც დღემდე სახელმწიფო სტრუქტურებში სხედან. ამიტომ დღესვე უნდა მოხდეს ამ ადამიანების ლუსტრაცია და სისტემა ამ ხალხისგან გაიწმინდოს.

რამდენიმე თვე დარჩა და ამის შემდეგ ხომ უნდათ, რომ ქუჩაში გავიდნენ, ან სალომე ზურაბიშვილს, ან მარგველაშვილს, ან უსუფაშვილს და ზოგიერთ დეპუტატსა და მინისტრებს, რომლებიც, რომ არა „ქართული ოცნება“, სიზმარშიც ვერ ნახავდნენ თავიანთ თანამდებობებს. ეს ადამიანები გამყიდველები არიან და როგორც „ქართული ოცნება“ გაყიდეს, ისე სამშობლოს გაყიდიან. გუშინ რომ მუხლებზე დაჩოქილნი იდგნენ ბიძინა ივანიშვილის კართან, ეს რატომღაც დაავიწყდათ!

რელიგიას ებრძვიან, ადათ-წესებს ებრძვიან, ხვალ შეიძლება ენის წინააღმდეგაც გამოვიდნენ, რადგან ისიც კი იკადრეს, რომ წმინდანად შერაცხული უდიდესი მამულიშვილის სიტყვები შეცვალეს. მათთვის ხომ არაფერი წმინდა არ არსებობს. მამულის 20 პროცენტი დაგვაკარგვინეს, ენა წაბილწეს, ახლა კი სარწმუნოებას, მხცოვან პატრიარქს მიდგნენ... მათ მხოლოდ მართლმადიდებლური სარწმუნოების წინააღმდეგ კი არა, ყველა ტრადიციული რელიგიის წინააღმდეგ გაილაშქრეს. სად არის მათი „ერთობა“? ლგბტ-ებსა და „ნარკობარიგებთან“ ერთობისკენ მოგვიწოდებენ? სამწუხაროა, რომ ბევრი პატიოსანი ადამიანიც შეცდომაში შეიყვანეს, განსაკუთრებით გულანთებული, ემოციური ახალგაზრდები, ისეთი ადამიანები, რომლებიც ამ საქმისგან შორს არიან, რადგან ბევრი ვერ აცნობიერებს მათ მზაკვრულ ჩანაფიქრს და უნებურად მათ იდეოლოგიას იზიარებს.

მხოლოდ შაჰ-აბასის დროს თუ ჰყავდა საქართველოს ამდენი გამყიდველი, რომლებიც შაჰის კარზე დარბოდნენ. დღეს ზუსტად ეს მომენტია, ოღონდ, ესენი ევროპაში დარბიან სამშობლოს გასაყიდად.

ნონა ქარქაშაძე

ჰერჩინსკის ვეკითხები: ევროკავშირში რუსულ ბაზებთან ერთად გვაწევრიანებს?!

გვესაუბრება პოლიტიკოსი პეტრე მამრაძე:

— ბატონო პეტრე, რა ფორმა მიიღო პროტესტმა და სადამდე შეიძლება მივიდეთ?

— ჩვენთან ჩატარებული კვლევებით გაირკვა, რომ საქართველოში „ენჯეოკრატია“ იყო. ეს ენჯეოები სააკაშვილის ხელში ძლიერი ინსტრუმენტები იყო. მიშა მათ მწვანე შუქს უნთებდა — რაც გინდათ, აკეთეთო. ჯერ კიდევ შარშან მარტის აქციების მერე, ლადო პაპავა წერდა, რომ გამჭვირვალობა აუცილებელია, მაგრამ ამისთვის ახალი კანონის შემოღება საჭირო არ არისო. საკმარისი იყო, მოქმედ ორ-სამ კანონში კონკრეტული ცვლილებები და განმარტებები შესულიყო, რაც ასეთ ხმაურს არ გამოიწვევდა. შედეგად, გამჭვირვალობის ხარისხის გაზრდაზე პრეტენზია ვერც დასავლეთს ექნებოდა და ვერც ოპოზიციას და საქმეც გაკეთდებოდა.

სწორი გადაწყვეტილებაა, რომ ახალი კანონის სათაურიდან აგენტის ცნება ამოიღეს. მაგალითად, რუსეთში აგენტს რომ ახსენებ, ამაში 85% „შპიონი“ იგულისხმება. დასავლეთში აგენტი ცუდს არაფერს ნიშნავს. ეს, უბრალოდ, მოქმედი პირის აღმნიშვნელია. სხვათა შორის, საქართველოში ბევრი ისეთი ენჯეოცაა, რომელიც უცხოური დაფინანსებით ჯანდაცვის, სოფლის მეურნეობის საკითხებზე მუშაობს და ჩვენს სამინისტროებთან მჭიდრო კონტაქტი აქვს, ზოგს კურატორიც კი ჰყავს პარლამენტში. მათ გიგაურისგან და ლომჯარიასგან განსხვავებით, გამჭვირვალეობაზე პრობლემა არ აქვთ. აგენტების შესახებ კანონი ამერიკულია. სიტყვა აგენტი პირდაპირ „ფარას“ სახელწოდებაშია.

რაც შეეხება ახალგაზრდებს, ვინც დღეს ოცი წლისაა, სააკაშვილი რომ გაიქცა, იმ პერიოდში რვა წლის იქნებოდა. მათ სააკაშვილი რეფორმატორი, პროდასავლელი ჰგონიათ. არ იჯერებენ, რომ მიშას დროს საქართველოში ავტორიტარული კლეპტოკრატია იყო, ციხეები პატიმრებით გადავსებული, წამება, კვლა და ა. შ. ამას როგორც ზღაპარს, ისე ისმენენ.

მასების ფსიქოლოგიაში აღწერილია, როცა მიტინგებზე აფექტაცია, ემოციების აღზევება ამ დონეზე ხდება, რასაც ვუყურებთ, ასეთ დროს რაციონალური არგუმენტების მოყვანა, მხოლოდ ცხოველური ინსტინქტების გაღვიძებას და აგრესიულ რეაქციას იწვევს. ამას არაფერი შველის. წარმოიდგინეთ, რა ხდება: ჟურნალისტი წინ მიუძღვის აქციას, გვერდით მიჰყვება რვა წლის ბიჭი, რომელსაც ეკითხება: ჩვენ ახლა „ქართული ოცნების“ ოფისისკენ მივდივართ და რას ეტყვი მათო და ბავშვი პასუხად ყვირის: მათ ვეტყვი, თქვე, რუსო ღორებოო. ეს დიდი დანაშაულია. სულ ერთია რუსი იქნება, გერმანელი თუ სხვა, ეროვნული ნიშნის გამოყენება შეურაცხმყოფელი ეპითეტებით არ შეიძლება.

რაც შეეხება ოპოზიციონერ ლიდერებს, კოლექტიურ გვარამიებს, მელიებს, ხოშტარიებს, ჯაფარიძეებს, ხაზარაძეებს და ა. შ., ისინი ცივსისხლიანი, ცინიკოსი ადამიანები არიან, რომელთაც მხოლოდ ფული უნდათ. მათი მონაწილეობით გასაჯაროებულ ფარულ ჩანაწერებზე, მე ექსპერტიზაც არ მჭირდება, ეს მათი არსია. ზუსტად ანალოგიური ტექსტები მაქვს მათგან მოსმენილი, როცა პარლამენტში მათ შორიახლოს ვიჯექი. გახსოვთ, მიშას და ბიძამისის საუბარი: ამ ქართველებს სანამ დედას არ *** და მერე უწმაწური გინება. აი, მათი დამოკიდებულება ერისადმი.

სასწაული რაღაცები ხდება. ბოლო ოცი წლის განმავლობაში დასავლეთში ყველაფერი შეიცვალა. ევროპარლამენტარებმა გვარამია გვერდით დაიყენეს და ყვიროდნენ, ნიკა არის საქართველოში ოპოზიციის ლიდერი, რომელიც იცავს დემოკრატიას, თავისუფლებასო. არადა, მანამდე ერთი თვით ადრე, სტრასბურგის სასამართლო გვარამიას მიმართ ქართული მართლმსაჯულების განაჩენს დაეთანხმა. ანუ, აღიარა, გვარამია კრიმინალიაო. ოცი წლის წინ არცერთი ევროპარლამენტარი მას გვერდით არ დაიყენებდა. მასთან სურათსაც არ გადაიღებდა. ახლა, იციან, რომ კრიმინალია და ეს ფეხებზე ჰკიდიათ. ანუ, თავიანთ რეპუტაციასაც არად დაგიდევენ. თუ კრიმინალთან ერთად დგახარ, შენი პოლიტიკური გზა ხომ უნდა დასრულდეს?! რა ხდება? გვარამია ევროპარლამენტში შემთხვევით ხომ არ შესულა? აი, რა მარაზმში გვიწევს ყოფნა. პროცესები რთულია. საქართველოს ვუსურვოთ, ამ მძიმე პერიოდში მშვიდობა, სტაბილურობა შეენარჩუნებინოს.

— ევროკავშირის წევრი ქვეყნების ელჩებს შორის შეხვედრაზე უვიზო მიმოსვლის დაბლოკვა მოითხოვეს. მიზეზი ისევ გამჭვირვალობის კანონია...

— ამ თემაზე აპელირება მათთვის მომგებიანია. თავის დროზე ძალიან ჩაიჭრა სტოლტენბერგი, როდესაც მონტენეგრო ნატო-ში მიიღო, რომელიც ნატო-ს სტანდარტებში ვერ ჯდებოდა თუნდაც, კორუფციის ხარისხით. მაშინ მონტენეგრო კრემლის კლანჭებს გამოგლიჯეს. სტოლტენბერგმა თბილისში ვიზიტისას გვითხრა, უნდა იმუშაოთ, რეფორმები ჩაატაროთ, როგორც ეს მონტენეგრომ გააკეთა და თქვენც მიგიღებთო. ეს სკანდალი იყო. მონტენეგრო ევროპაში ყველაზე კორუმპირებული ქვეყანაა, საქართველო კი ყველაზე ნაკლებად. ანუ, კორუმპირებულები უნდა გავხდეთ, რომ მიგვიღონ?! ეს პოლიტიკა კი არა, თაღლითობაა. მას რომ ეთქვა, ვაცნობიერებთ, რომ საქართველო ნატო-ში გასაწევრიანებლად ბევრად უკეთ არის მომზადებული, ვიდრე მონტენეგრო, მაგრამ გეოპოლიტიკური მდგომარეობის გამო ვერ გიღებთო, ეს გასაგები იქნებოდა.

— ბატონო პეტრე, 31-მა ევროპარლამენტარმა ჯოზეფ ბორელს საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის შეჩერების თხოვნით მიმართა.

— ევროპარლამენტს, ევროკავშირიდან ბრიტანეთის გასვლის შემდეგ (მანამდე 1700-ზე მეტი იყო), 705 პარლამენტარი ჰყავს. ასე რომ, 31 მათგანის აზრი ნაკლებად მნიშვნელოვანია. ევროპარლამენტი ეროვნული სახელმწიფოების პარლამენტების ანალოგი ნამდვილად არ გახლავთ. მას ამომრჩევლის მიმართ ნაკლები პასუხისმგებლობა და გავლენა აქვს, განსხვავებით ევროკომისიისგან, რომელიც აღმასრულებელი ორგანოა და ბევრად დიდი უფლებები აქვს. ევროპარლამენტი კლუბს უფრო ჰგავს. თუმცა ბოლო დროს ცდილობენ, ცვლილებების შეტანით ევროპარლამენტმა მეტი ძალა შეიძინოს. ვიმეორებ, ევროპარლამენტი ძალიან შორს არის იმ უფლებამოსილებისა და გავლენებისგან, რაც ეროვნული სახელმწიფოების პარლამენტებს აქვთ. თუნდაც, საქართველოს პარლამენტს, ან გერმანიის ბუნდესტაგს რაც გააჩნია.

მეორე მხრივ, გავიხსენოთ, დასავლეთის ტყუილზე დაფუძნებული აღვირახსნილი კამპანია. გამაოგნა თავის დროზე დასავლეთის ცნობილი პოლიტიკოსების, პარლამენტარების, კონგრესმენების წერილებმა, სადაც იტყობინებოდნენ, რომ თურმე, სააკაშვილს ხელისუფლება სასტიკად აწამებდა, შიმშილით კლავდა, დილეგში გამომწყვდია რეფორმატორი და ა. შ. ყოველი ფრაზა სიცრუე იყო. მერე ეს ტალღა უცებ ჩაქრა და „ფარას“ წყალობით შევიტყვეთ, რომ ლობისტებისთვის გიული ალასანიას თითქმის მილიონი დოლარი ჰქონდა გადახდილი. დოკუმენტი აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის საიტზე დაიდო. დასავლელი პარტნიორები დღემდე მაოცებენ — თურმე, საქართველოსთვის ევროკავშირის კარები გაიღო, რაც მტკნარი სიცრუეა. ჰერჩინსკიმ ევროპის დღეზე ქართულ ენაზე წარმოსთქვა: მალე უსათუოდ გავფართოვდებით, მაგრამ თქვენთან ერთად, თუ თქვენს გარეშე, ეს მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებულიო.

ამ დროს არავინ საუბრობს იმ გარემოებაზე, რომ 2008 წელს სააკაშვილის სისხლიანი სამხედრო პოლიტიკური ავანტიურის შემდეგ, ყოფილ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში რუსული ბაზებია განლაგებული, რომლებიც აღჭურვილია არტილერიით, რაკეტებით, ცოცხალი ძალით. რუსული ტანკები თბილისიდან ოც კილომეტრში დგას, რომელთაც დედაქალაქში შემოსვლა ნახევარ საათში შეუძლიათ. ან იგოეთთან ტრასას ჩაკეტავენ და მორჩა, საქართველოს სატრანზიტო ფუნქცია, ეკონომიკის განვითარება დამთავრდება. დასავლეთს ვეკითხები: ამ ბაზებთან, ტანკებთან, რუს ჯარისკაცებთან ერთად აპირებენ საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას?! ამაზე პასუხი არ აქვთ. მაშინ როგორ ეუბნება ჰერჩინსკი ამ მცირე ერს, რომ ევროკავშირში გაწევრიანება მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული?! ჩვენზეა დამოკიდებული ამ ბაზების საქართველოდან გაყვანა?! ამაზე არავინ წერს.

პრობლემა მხოლოდ ეს როდია: დღემდე არ არის დემილიტირებული და დემარკირებული საზღვრები არც სომხეთთან, არც აზერბაიჯანთან. განა შესაძლებელია, ევროკავშირმა ისეთი სახელმწიფო მიიღოს წევრად, რომელსაც საზღვრები დემილიტირებული არ აქვს. პუტინს კაბინეტში, ყოფილი სამხრეთ ოსეთის დედასამშობლოსთან — ჩრდილოეთ ოსეთთან შეერთების დოკუმენტები აკინძული აქვს. ასეთ შემთხვევაში ჩვენ სად მივიღებთ საზღვარს? რაც შეეხება აფხაზეთს, პუტინმა რამდენჯერმე განაცხადა, რომ ბელორუსთან და სხვა ქვეყნებთან სამოკავშირეო სახელმწიფო იქმნება. შეიძლება, ამის მერე ევროპელი გერქვას?

ჩვენ კარგად ვიცით, რა არის ევროპული ფასეულობები. გოეთე ამბობდა, „მხოლოდ ის იმსახურებს თავისუფლებას და სიცოცხლეს, ვინც ამისთვის ყოველდღე იბრძვისო“. როგორ შეიძლება, მცირერიცხოვან ერს ასე ატყუებდე, ცხვირწინ სტაფილოს უკიდებდე და იარეო, ეუბნებოდე. ინტენსიური შეხვედრები მაქვს ახალგაზრდებთან. მათ ვეკითხები: სანამ რუსული ბაზები საქართველოში დგას, სანამ რუსეთი გაერო-ს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრია და ვეტოს უფლებით სარგებლობს, სანამ ამ ორ რეგიონს დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ცნობს, შესაძლებელია, ევროკავშირმა თავისთან გაგვაწევრიანოს-მეთქი?! ამ შეკითხვის მოსმენისას, თავს ხრიან და ვერაფერს პასუხობენ. პაპაჩემის, პეტრე მამრაძის სიტყვებს მოვიშველიებ, სასურველის სინამდვილედ გასაღების წადილმა ჩვენში ეროვნული კატასტროფის მასშტაბი მიიღო.

თამარ შველიძე

ეს პროტესტი კი არა, ქვეყნის რყევაა

გვესუბრება მედიასააგენტო „იქსნიუსის“ დამფუძნებელი მირიან ყარაულაშვილი:

— ბატონო მირიან, გავრცელდა ფარული ჩანაწერები, სადაც ოპოზიციონერი ლიდერების, აქტივისტების მიერ, დედაქალაქის პარალიზებაზე და სხვა ღონისძიებებზეა საუბარი.

— პირველ რიგში, გილოცავთ აღდგომას, კვირაცხოვლობას, ყველას თქვენს ოჯახებთან ერთად ბედნიერებას გისურვებთ. დიახ, ვნახე ეს ჩანაწერები და რომ გითხრათ, გამიკვირდა-მეთქი, დამიჯერებთ? ჯერ კიდევ 2013-14 წლებიდან ხმამაღლა ვამბობდი პერსონალურ შეხვედრებზეც და ტელევიზიითაც, რომ, რაზეც ჩანაწერებში საუბრობენ, ეს მათი მეთოდებია. რევანში მათი ოცნების აპოგეაა და ამისკენ ხელისუფლების დაკარგვის პირველივე დღიდან — 2012 წლის 2 ოქტომბრიდან მიისწრაფვიან. ნაცებს პოლიტიკასთან არანაირი კავშირი არ აქვთ, ისინი ჩვეულებრივი ტერორისტები არიან. მათ არჩევნებში გამარჯვების შანსი არ აქვთ, ამიტომ ხელისუფლების წაგლეჯვას რევოლუციური მეთოდებით ცდილობენ. „ნაცებს“ არსენალში ბევრად ცუდი, არაადამიანური მეთოდებიც არის — ზოგი კიდეც განახორციელეს, ზოგსაც მომავალში უნდა ველოდოთ.

— პროცესში უკრაინაში მებრძოლი ქართველების ნაწილიც ჩართულია, რომლებიც აქ მაიდნის მოწყობას განიხილავენ...

— მოდი, შევთანხმდეთ, ამ დაქირავებულ მებრძოლებს ეროვნება არ აქვთ. ის შეიძლება ქართველიც იყოს, ფრანგიც, სერბიც, ამერიკელიც... ვინც გასამრჯელოს სანაცვლოდ ომში მიდის, ის დაქირავებული მებრძოლია. რაც შეეხება მათ გამოყენებას საქართველოში დესტაბილიზაციის მოსაწყობად, გასაკვირი არ არის. „ბი-ბი-სიმ“ ფილმი გადაიღო, თუ როგორ ხდებოდა 2014 წელს მაიდანზე მსხვერპლშეწირვა, ვინ იყო ამის ინიციატორი და განმახორციელებელი. და ეს გახლდათ სააკაშვილი, მისი ჯგუფი და მათ მიერ დაქირავებული ე. წ. ბოევიკები, რომელთაც მაიდანი განახორციელეს. გამორიცხული არ არის, რომ ეს იანუკოვიჩის კორუმპირებული ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეთანხმებით მომხდარიყო. ეს ორმხრივი ოპერაცია იყო, რამაც ხელისუფლების ჩამოშლა გამოიწვია. საქართველოში მაიდნის მოწყობა, 2016 წლის არჩევნებიდან დაწყებული, არაერთხელ სცადეს. ასე, რომ ყველაფერს უნდა ველოდოთ, მეტიც, მათგან დივერსიები არ გამიკვირდება.

— თვეზე მეტია, ახალგაზრდების პროტესტი მიმდინარეობს...

— ეს პროტესტი კი არა, ქვეყნის ჯანჯღარი, რყევაა. ანუ, ძალიან კარგად დაგეგმილი პროცესია, რომლის სცენარიც წინ უდევთ და ახორციელებენ. ვინ დაწერა სცენარი — აკერმანმა თუ „კანვასმა“, მნიშვნელობა არ აქვს. თუმცა მე მაინც მგონია, რომ ეს სცენარები ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის სპეცსამსახურებში იწერება და ისინი თავად ახორციელებენ. მხედველობაში რუსეთი მაქვს. რაც შეეხება ლოზუნგს — „არა რუსულ კანონს“, ესეც სწორედ რუსული სპეცსამსახურების ხელწერაა. ასე იყო 1991, 2003 და შემდგომ წლებშიც. აქ დესტაბილიზაცია მხოლოდ რუსეთს აწყობს. ამიტომ ერთადერთი, რაც მინდა ხელისუფლებას ვურჩიო: სახელმწიფო ჩამოშლისგან დაიცვას.

— შსს-მ უცხოეთში აქციების დარბევის კადრები გამოაქვეყნა, სადაც მომიტინგეებს სასტიკად უსწორდებიან. არადა, დასავლეთი ჩვენ გვეუბნება, მშვიდობიანი დემონსტრანტების მიმართ გამოყენებული ძალით ზღვარს გადახვედითო...

— ვიდრე შსს გამოაქვეყნებდა, ჩემს „ფეისბუქზე“ კვირაში ორჯერ-სამჯერ ბევრდ მძიმე კადრებსაც ვაქვეყნებდი. 1-ელ მაისს პარიზში „მშრომელთა დემონსტრაციის“ დარბევის კადრები რომ ნახოთ, თმა ყალყზე დაგიდგებათ, მონაგონია იმასთან, რაც საქართველოში ხდება. იგივე ხდება აშშ-ის უნივერსიტეტებში ანტიისრაელური მიტინგების, შეხვედრების გაუვნებელსაყოფისთვის. აქ იმის მტკიცება, რომ მშვიდობიან მომიტინგეებს სასტიკად უსწორდებიან, ლობისტური საქმიანობის შედეგია და სხვა არაფერი.

— ხელისფლებას მუქარის ზარების, თავდასხმების განხორციელებაში ადანაშაულებენ...

— ერთადერთი, ვისაც ეს პროცესები აწყობს, ე. წ. ოპოზიციაა. ხელისფლებას არაერთხელ მოვუწოდე: გამოიძიონ და დადგინდეს, ვინ დგას ამ ქმედებების უკან. თუ ეს მუქარები, თავდასხმები ხელისუფლების სახელით კეთდება, დარწმუნებული ვარ, ამის ჩამდენები ოპოზიციისგან არიან მოსყიდულნი სწორედ ამ პროვოკაციების ჩასადენად და მერე გასახმაურებლად, გასაპიარებლად. ამიტომ საჭიროა დროული გამოძიება და შესაბამისი პირების პასუხისგებაში მიცემა.

— როგორ ფიქრობთ, საზოგადოებას მართლა სჯერა, რომ გამჭვირვალობა ევროპისკენ სავალ გზას გვიკეტავს?

— ადრეც გითხარით: საზოგადოების დიდ ნაწილს არჩევნებში მონაწილეობის უფლებასაც არ მივცემდი. არ მინდა, ბავშვებს შეურაცხყოფა მივაყენო, მაგრამ საზოგადოების ყველაზე რადიკალური ნაწილი ყოველთვის სწორედ ჯეწზი თაობაა. მეც ვყოფილვარ მათ ასაკში და არასწორი იქნება, ახალგაზრდებს ვუთხრა: თქვენს ასაკში ამას არ ვაკეთებდი-მეთქი. ჩემი თაობა შეიძლება, უარესსაც აკეთებდა. მთავარია, ამ ახალგაზრდებს რეალური ვითარება ავუხსნათ. ეს ხელისუფლებამ უნდა გააკეთოს, რასაც მეტ-ნაკლები წარმატებით კიდეც აკეთებს. მაგრამ სჯობს, სახელმწიფო სტრუქტურებმა, საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უკეთ იმუშაონ. პირველ რიგში კი, განათლების კერები პოლიტიკისგან გაათავისუფლონ. რომელ გათავისუფლებაზეა ლაპარაკი, როცა მთელი „ილიაუნი“ თევზაძის მეთაურობით, ე. წ. პოლიტიკური ოპოზიციისა და ტერორისტული ორგანიზაციების სულისჩამდგმელია. ერთ-ერთ მიტინგზე ლადო აფხაზავამ თქვა: ჩვენი ბოლო ათი წლის მუშაობის შედეგია ის, რომ ეს თაობა აღვზარდეთო. მართალიც არის. სახელმწიფომ ამ ახალგაზრდების აღზრდა, სწორი მიმართულებით განათლების მიცემა მიატოვა და მივიღეთ ის, რაც მივიღეთ.

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა ორშაბათიდან გაფიცვა გამოაცხადეს...

— დიახ, სწავლაც აღარ უნდათ. ეს არც მიკვირს. 1988 წლის 23 ნოემბრიდან ამ პროცესებს ვუყურებთ. სხვათა შორის, დღევანდელი სტუდენტების, ზოგის მამა, ზოგის ბაბუა, სწორედ ამ პროცესების მონაწილე იყო, როდესაც ახალგაზრდებს სწავლაზე უარი ათქმევინეს და უნივერსიტეტებში, სკოლებში სასწავლო პროცესები შეწყვიტეს. ახლა შედეგს ვიმკით — შთამომავლობა წინაპრების „გმირულ“ საქციელს იმეორებს. აქვე, ჟურნალისტებზე მოგახსენებთ, შეხვედრიდან ფრაგმენტები ვნახე. ამ დედაკაცების საქციელი ნამდვილად არ გამკვირვებია. მე უფრო ის გამიკვირდა, პრემიერმა მათთან საუბარში დრო რატომ დახარჯა.

— საქართველოს ელჩმა საფრანგეთში, მოტივით —„არა რუსულ კანონს“, თანამდებობა დატოვა...

— გოჩა ჯავახიშვილი გახლავთ არსება, რომელიც ასეთ ქმედებას პირველად არ სჩადის. იგი შევარდნაძიდან დაწყებული, ყველა ხელისუფლებაში მუშაობდა. 2003 წლის სექტემბერშიც დემარშით დატოვა თანამდებობა ეგვიპტეში. ახლა, როცა საფრანგეთში ელჩად დანიშნეს, მაშინვე ვთქვი, რომ ეს შეცდომა იქნებოდა. მკაცრად უნდა მოეთხოვოს პასუხი მას, ვინც ამ თანამდებობაზე რეკომენდაცია გაუწია. მსგავს ქმედებებს სხვებისგანაც ველი. მაგალითად, ჩემთვის გაუგებარია, ავსტრიაში საქართველოს ელჩი რატომ არის ქეთევან ციხელაშვილი. ასევე, ძალიან გაუგებარია ბერუჩაშვილის საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ყოფნა. იგი შევარდნაძის ხელისუფლებაში მინისტრის პირველი მოადგილე იყო და იცით, რას აკეთებდა? — უცხოელ ინვესტორებს, სტუმრებს, რომლებიც მასთან ოფიციალურ შეხვედრებს მართავდნენ, ეუბნებოდა, შევარდნაძე კორუმპირებულია და რაც შეიძლება სწრაფად უნდა გადავაგდოთ რევოლუციის გზითო. ეს ჩემი თანდასწრებით აქვს ნათქვამი მაღალი დონის უცხოელი დიპლომატისთვის. ასეთი ელჩები არიან თანამდებობებზე მაშინ, როცა პროფესიონალი დიპლომატები სახლში სხედან. რაც შეეხება უცხოელი ელჩების დემარშებს, რაც ყოველდღიურად ხორციელდება, მინდა „საერთო გაზეთის“ ტრიბუნა გამოვიყენო და საგარეო საქმეთა სამინისტროს მოვუწოდო: თუკი ამ გამოსვლების, დემონსტრაციების საბაბი ეს კანონია, რომელსაც რუსულს უწოდებენ, ოფიციალური წყაროებიდან შეაგროვონ ყველა ქვეყნის ანალოგიური კანონი: აშშ-ის, კანადის, საფრანგეთის, ავსტრალიის და და ერთ ბროშურად შეკრან. აქვე, ჩასვან ქართული კანონპროექტიც და კომენტარებისთვის ადგილი დატოვონ. დაე, დიპლომატებმა კონკრეტულ მუხლებში კონკრეტული შენიშვნები შეიტანონ; რას გვედავებიან, სად ჩანს რუსული გავლენა, არადემოკრატიული მიდგომა და ა. შ. ეს ბროშურა ოფიციალური დიპლომატიური არხებით გადასცენ საელჩოებს, რომლებიც საქართველოში მოქმედებს. თანაც, ოფიციალური ნოტა გაუგზავნონ, მოუწოდონ, გადახედონ ამ ბროშურას და გვითხრან, საქართველოს კანონი მათ ქვეყანაში მოქმედ რომელ კანონს ეწინააღმდეგება.

— საკაშვილმა განაცხადა, არჩევნები დროებითმა მთავრობამ უნდა ჩაატაროსო...

— რაც ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლის მოწოდებაა. ამიტომ მივმართავ შესაბამის ორგანოებს: ამ განაცხადზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრას და მის დანაშაულებს კიდევ ერთი მუხლი დაუმატონ. ახლა ქვეყანაში ისეთი პროცესები მიდის, სულაც არ ვარ დარწმუნებული, რომ საკაშვილს მავანი საკრალურ მსხვერპლად არ გამოიყვანს და „ვივამედის“ პალატაში არ გააგორებს ინექციით თუ შუბლში ტყვიის დაჭედებით. ამიტომ ერთადერთი უსაფრთხო ადგილი საკაშვილისთვის იზოლირება, საპატიმრო დაწესებულებაში გადაყვანაა. ხელისფლებას მოვუწოდებ: პატიმარი სასწრაფოდ საპატიმროში გადაიყვანონ.

— ევროპარლამენტარები საქართველოსთვის ევროკავშირის დახმარების გაყინვაზე, პერსონალური სანქციების დაწესებაზე და სხვა ღონისძიებებზე მსჯელობენ...

— ევროპარლამენტში მალე ახალი არჩევნები ჩატარდება, პარლამენტის წევრთა დიდი ნაწილი შეიცვლება, განახლდება ევროკომისიაც. პროგნოზის თანახმად, დაახლოებით, ცხრა-ათ ქვეყანაში ხელისუფლებაში კონსერვატორების კოალიცია შეიქმნება. ასე რომ, ევროკავშირი გამოსწორების გზას დაადგება. საქართველოს მიმართ მუქარა ამ გაკოტრებული პოლიტიკოსების ბოლო გაფართხალებაა.

თამარ შველიძე

აშშ-ის დაზვერვის ყოფილი მაღალჩინოსანი და გაეროსათვის ჩატარებული სადაზვერვო ოპერაციების ყოფილი ხელმძღვანელი სკოტ უილიამ რიტერი: აშშ საქართველოში სამხედრო გადატრიალებას ამზადებს!.

აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (CIA) მიერ ორგანიზებული საპროტესტო აქციები კიდევ უფრო დიდ მასშტაბებს მიიღებს და იქნება უფრო აგრესიული!..

CIA-ს სურს მმართველი გუნდის დაშლა და ხელისუფლების შეცვლა!..

საქართველოს მთავრობას ჯერ კიდევ აქვს შანსი, ჩაშალოს CIA-ს გეგმები! ამისათვის საჭიროა, გამოიჩინონ სიმტკიცე, მონდომება და უკომპრომისობა სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში ჩართულთა მიმართ!

საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გაიგოს, რომ მათ უკან ქართველი ხალხი დგას, ხოლო მათ წინააღმდეგ სოროსის ფონდისა და სპეცსამსახურების სხვა ფონდების გრანტებით გამოკვებილი გამძვინვარებული უმცირესობაა, რომლებიც რენეგატები არიან!



CIA-ს რენეგატები...

იქნებ, არც ჩამეთვალა საჭიროდ ამის თქმა, რადგან ისეთი ინფორმაციაა, „გინდ დაიჯერეთ, გინდა - არა“ რომ უნდა დაარქვა (ვინაიდან, მტკიცებულება არ მაქვს), მაგრამ ბატონი დავით უსუფაშვილის ნათქვამმა თქმის იშტაზე მომიყვანა. ბატონმა დავითმა იკითხა, თუ დადასტურებულად იცის რამე, არც ეს ვიცი, მაგრამ ფაქტია, რომ შეფიქრიანებულმა ამოთქვა. ნეტავ, რატომ, რის საფუძველზე?

დავით უსუფაშვილი: „ხომ არ გამოჩნდა საქართველოს რომელიმე სტრატეგიული მეგობარი ქვეყანა, საერთაშორისო ორგანიზაცია, ვისზეც არის დამოკიდებული საქართველოს სუვერენიტეტი, რომელმაც ეს კანონპროექტი შეაფასა დადებითად...“

ის, რომ ბატონ უსუფაშვილს ჩვეულებრივ ამბად მიაჩნია, საქართველოს სუვერენიტეტის საკითხი ვიღაცის ან რაღაც ორგანიზაციის კეთილ ნებაზე იყოს ჩამოკიდებული, ნამდვილად არ მიკვირს - ეს ხომ იგივე კაცმაცუნაა, რომელიც 1989 წლის აპრილის შემდეგ შევიდა კომუნისტურ პარტიაში. კრებსით უსუფაშვილებს ხომ მუდმივად სჭირდებათ ვიღაც უფროსი, რომლის ჭკუაზეც სიამოვნებით ივლიან. რიგ შემთხვევებში, ასეთად მეუღლესაც იმატებენ, ალბათ, უფრო რომ გაუმძაფრდეთ შეგრძნებები და დადიან ასე, ყოვლისმცოდნე და შთაგონებული სახეებით...

ახლა კი ამბავი, რომელიც შეკითხვებით იწყება: როგორ იგეგმებოდა მეორე ფრონტის გახსნა საქართველოში?

ვინ და როგორ ითრევდა საქართველოს ხელისუფლებას რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ ომში?

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის დავალებით „ვიღაც“ როგორ აიძულებდა საქართველოს იმჟამინდელ პრემიერს, ირაკლი ღარიბაშვილს სამხედრო მოქმედებების დაწყებას აფხაზეთსა და სამაჩაბლოში?

ვინ იხსნა საქართველო რუსეთთან ომისგან?

ძალიან მძულს ასეთ შემთხვევაში სიტყვა „წყაროს“ ხსენება, მაგრამ რადგან სხვანაირად ვერ მოვიხსენიებ, ასე ვიტყვი: საქართველოს სახელმწიფო კანცელარიაში მომუშავე საკმაოდ ინფორმირებული წყაროს ინფორმაციით, 2022 წლის 24 თებერვალს, უკრაინაში რუსეთის მიერ განხორციელებული სამხედრო სპეცოპერაციის დაწყებისთანავე, ამერიკის შეერთებული შტატების იმჟამინდელი ელჩი საქართველოში, კელი დეგნანი, საელჩოს დაზვერვის დეპარტამენტის შეიარაღებულ ოფიცრებთან ერთად, შტურმით შეიჭრა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის შენობაში და განაიარაღეს მთავრობის ადმინისტრაციის თერთმეტივე სართულის დაცვა.

შემდგომ ეტაპზე, განაიარაღეს პრემიერ ღარიბაშვილის დაცვა. აშშ-ის ელჩი ქალბატონი თანმხლებ პირებთან ერთად შეიჭრა პრემიერ ღარიბაშვილის კაბინეტში და, ფაქტობრივად, მძევლად აიყვანეს იგი. ამავდროულად, იზოლაციაში მოაქციეს „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე.

წყაროს ინფორმაციით, ელჩი დეგნანი აგრესიული ტონით მიმართავდა პრემიერ ღარიბაშვილს და მისგან კატეგორიულად მოითხოვდა, რომ ადმინისტრაციაში განთავსებული პირდაპირი ჩართვის სატელევიზიო აპარატურით, ღია ეთერით, საზოგადოებისთვის განეცხადებინა სამაჩაბლოსა და აფხაზეთში სამხედრო მოქმედებების დაწყების შესახებ.

წყაროს ინფორმაციით, როდესაც უარი მიიღო პრემიერისგან, კელი დეგნანი ლამის ჭკუიდან გადავიდა. პრემიერს კონსულტაციისთვის „ქართული ოცნების“ თავმჯდომარესთან, ირაკლი კობახიძესთან სატელეფონო კავშირის დამყარება მოუთხოვია, რაზეც უარი მიიღო. პრემიერს თავი მოუკატუნებია, სამხედრო მოქმედებების დასაწყებად უმაღლესი რანგის სამხედრო პირებთან კონსულტაცია და კონკრეტული ვადის განსაზღვრა მოუთხოვია. პრემიერმა, თვალსა და ხელსშუა მოატყუა აშშ-ის დეპარტამენტი თავის ელჩიანად (ან პირუკუ მიმდევრობით), რითიც აშშ-ის დეპარტამენტის რისხვა დაიმსახურა, მაგრამ რისხვა კელი დეგნანსაც გაუყო.

მართალია, კელი დეგნანმა მოასწრო და ე. წ. დასავლეთის ქვეყნების თითქმის ყველა საელჩოს მოსთხოვა, ზეწოლა მოეხდინათ „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოზე, რათა ირაკლი ღარიბაშვილი თანამდებობიდან გადაეყენებინათ, მაგრამ დავალების ვერშესრულების (გაცურების) გამო, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა აშშ-ის ელჩად მეორე ვადით კელი დეგნანი აღარ დატოვა და იგი გაიწვიეს.

წყაროს ინფორმაციით, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკულმა სპეცსამსახურებმა შეძლეს და მთავრობის ადმინისტრაციაში არსებული ყველა სათვალთვალო კამერის ჩანაწერი გაანადგურეს, ისინი მეორედ გააცურა ქართულმა მხარემ და ყოველივე ზემოთ თქმულის დამადასტურებელი ვიდეოკადრები დღემდე არსებობს.

კი მიაღწიეს ბატონი ღარიბაშვილის პრემიერის პოსტის „საკუთარი სურვილით“ დატოვებას, მაგრამ ვერ გათვალეს, რომ მის ადგილს მასზე „უარესი“ ქართველი დაიკავებდა - ნამდვილი ქართველები ხომ ყველანი ერთიმეორეზე „უარესები“ ვართ. ახალმა პრემიერმა, ირაკლი კობახიძემ აღნიშნული ვიდეოჩანაწერი ე. წ. დასავლეთის თითქმის ყველა საელჩოს პირადად აჩვენა, რითიც აიხსნება მათი შემდგომი დუმილი რუსულ-უკრაინულ კონფლიქტში თითქოსდა საქართველოს ხელისუფლების მიკერძოებული არასათანადო პოლიტიკის გამო.

როგორც აღვნიშნე, არანაირი მტკიცებულება არ მაქვს, რომ ეს ამბავი ნამდვილად მოხდა, მაგრამ აშშ-ის დაზვერვის ოფიცერი ღიად რომ ამბობს, აშშ საქართველოში სამხედრო გადატრიალებას აპირებსო და, ამავდროულად, ვხედავ და მესმის აშშ-ის (არა მხოლოდ!) დესპანების ქცევა-მეტყველება, გასაკვირია რომ დავიჯერო?!

ახლახან რატი ბრეგაძემ განაცხადა, რომ მათი ვებგვერდის მუშაობა აღდგენილია და სახელმწიფო დაწესებულების ვებგვერდის გათიშვა დანაშაულია. კი, მაგრამ, ვინ არის დამნაშავე, უცნობია?

იქით ვინმე ლაშა ფარულავა ამბობს: „ვაპირებთ პროტესტი შენარჩუნდეს იქამდე, სანამ „ოცნება“ არ დაიწყებს მოლაპარაკებას ხელისუფლების გადმობარებაზე“ („რეზონანსი“ 3. 5. 2024). ხომ ცხადზე ცხადია, რა კამპანიაც არის „არა რუსულ კანონს!“

კიდევ რამდენი და რა სახის მტკიცებულებაა საჭირო, დავრწმუნდეთ, რომ საქართველოში სახელმწიფო გადატრიალებას აშშ-ის დაზვერვის ცენტრალური სამმართველო მართავს და, ამასთანავე, ამის მოსწრება აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნებამდე უნდათ?

გამოაცხადეთ პერსონა ნონგრატად და გააძევეთ აშშ-ის ელჩი საქართველოდან. ეს იქნება მართლა ადეკვატური პასუხი სუვერენული სახელმწიფოსგან!

ბატონი კობახიძე ესაუბრა დერეკ შოლეს და უთხრა, რომ იმედგაცრუებულია 2020-2023 წლებში ორი რევოლუციის მცდელობის გამო, რომელიც აშშ-ის ყოფილი ელჩის, კელი დეგნანის მხარდაჭერითა და გარედან დაფინანსებული ნჯო-ების მეშვეობით ხორციელდებოდა, მაგრამ რა! ეს ხომ იგივეა, იცოდე, ვინ გიპირებს მოკვლას და ელოდებოდე, როდის მოგკლავს. როცა მოგკლავს, რაღა ხეირი?

აშშ-ის ელჩმა „დაიჩივლა“, საქართველოს მთავრობის მაღალი თანამდებობის პირები მიწვეული იყვნენ აშშ-ში სტრატეგიული პარტნიორობისა და აშშ-ის დახმარების შესახებ ნებისმიერი შეკითხვის განსახილველად, მაგრამ ქართულმა მხარემ უარი თქვაო. ქალბატონო რობინ დანიგანი, წინამორბედი ელჩებივით ცრუ! მიწვეულები რომ ყოფილიყვნენ, უარს არ იტყოდნენ, ურჩი მოსწავლეებივით პედსაბჭოზე დაბარებულები იყვნენ და ამაზე თქვეს უარი!

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობით, პრემიერ-მინისტრი აშშ-ში მიწვეული იყო დათქმით, რომ ვიზიტამდე საქართველოს პარლამენტს დროებით უნდა შეეჩერებინა „გავლენების შესახებ“ კანონპროექტის განხილვა, რაზეც მათ უარი განაცხადეს.

აი, ასე!

დათქმით ვიზიტის განხორციელება სწორედაც რომ არ შეესაბამება პარტნიორობის სულისკვეთებას, რადგან პარტნიორობა ურთიერთპატივისცემასა და ურთიერთნდობაზე უნდა იყოს დამყარებული. აშშ-საქართველოს ყველანაირი პარტნიორობა კი იმთავითვე ცალმხრივი იყო. აშშ-საქართველოს რაღაც მეგობრობას, ბრიყვის გარდა, ვინ იჯერებდა, აშშ-ს, ტერიტორიისა და ქართველების საზარბაზნე ხორცად გამოყენების გარდა, საქართველოსთან არც არაფერი აკავშირებდა არასდროს...

მოკლედ რომ ვთქვათ, „არ გაუვიდა ეს ნომერი „დურუ ხუნჭუას“ და რა მოჰყვება ამ მდგომარეობას, ძნელი სათქმელია, რადგან აშშ დიდი და ძლიერი ქვეყანაა, საქართველო კი პატარა, სუსტი და მცირერიცხოვანი, უამრავი მოღალატით უბეში.

ელემენტარულია, თავიანთივე დაფინანსებული რევოლუციური სცენარები ყასიდად მაინც დაეგმოთ, ისე, თვალის ასახვევად, მაგრამ ამაზეც კი არ შეიწუხა ქალბატონმა დანიგანმა თავი...

ელჩი თავისი ქვეყნის წარმომადგენელია და რა ეთქვა, ნებისმიერი სცენარით, ზუსტადაც რომ საჭიროა არსებული ხელისუფლების მოშორება, რადგან „ეგორივით აუხირდნენ ატამანსო?“ აბა, რა ვქნათ, „ოცნებას“ არჩევნებით ვერ მოვიშორებთ და სხვა გზა აღარ გვრჩება, რევოლუციური სცენარი მსოფლიოს მასშტაბით კარგად გვაქვს აპრობირებულიო?

მაია ჭელიძე

პოლიტიკური თანასწორობა – დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების გზა

გაზეთის წინა (01. 05. 2024) ნომერში გამოითქვა აზრი, რომ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებისთვის საკმარისია ტერიტორიული მოწყობის ისეთი მოდელის მიგნება, რომელშიც გარანტირებული იქნება თბილისის, სოხუმის და ცხინვალის პოლიტიკური თანასწორობა. ერთ-ერთ ვარიანტად შემოთავაზებული იყო ამერიკული, ანუ შტატებად დაყოფის მოდელი, ოღონდ, ქართული, აფხაზური და ოსური ტრადიციების სრული გათვალისწინებით. გამოითქვა აზრი, რომ მხარეთა პოლიტიკური თანასწორობის ამსახველი მოდელის არჩევაზე ან ახალი მოდელის შექმნაზე ხუთეულის ფორმატის წევრებმა: თბილისმა, სოხუმმა, ცხინვალმა, მოსკოვმა და ვაშინგტონმა უნდა იმუშაონ.

...ვინ უნდა იზრუნოს ხუთეულის ფორმატის ჯერ შექმნაზე, შემდეგ კი ამ ფორმატის მუშაობის სწორად წარმართვაზე?

ამ კითხვაზე ყველაზე სწორი პასუხი იქნებოდა: „ეს გაეროს უშიშროების საბჭომ უნდა გააკეთოს“. უნდა გააკეთოს, მაგრამ ვერ აკეთებს, გავიხსენოთ დიტერ ბოდენის მისია საქართველოში. ეს პიროვნება დარბოდა თბილისი-სოხუმი-ცხინვალის სამკუთხედზე, შეიმუშავა რაღაც ვარიანტი, რომელიც, სავარაუდოდ, მხარეებს დაურიგა და წავიდა. სამწუხაროა, ამას რომ ვამბობ, მაგრამ გაეროს მეტის გაკეთება არ შეუძლია. მე რამოდენიმეჯერ ვიყავი დიტერ ბოდენის თბილისის ოფისში და ყველა ჯერზე მხოლოდ მისი მდივანი გოგონები მხვდრბოდნენ. ამიტომ ამ გოგონებს დავუტოვე წერილობითი რჩევა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო დიტერ ბოდენი, სამკუთხედზე გაუთავებელ სირბილს კონკრეტული შედეგი რომ მოეტანა. კერძოდ, მას ვურჩევდი:

დაეწყო მუშაობა ოფიციალურ თბილისთან, სოხუმთან, ცხინვალთან, მოსკოვთან და ვაშინგტონთან, ხუთეულის ფორმატის შექმნასთან დაკავშირებით.

რომ ხუთეულის ფორმატის მუშაობისთვის წინასწარვე მოემზადებინა რაუნდების ჩასატარებელი ადგილები თბილისში, სოხუმში და ცხინვალში, ანუ გაეხსნა ამ ქალაქებში გაეროს სპეციალური ოფისები.

რომ ხუთეულის ფორმატისთვის უნდა შეექმნა სათანადო პირობები ნაყოფიერი მუშაობისთვის და მეექვსე წევრის სტატუსით, თავადაც ემუშავა: თბილისთან, სოხუმთან, ცხინვალთან, მოსკოვთან და ვაშინგტონთან ერთად კონფლიქტების სამართლიან დასრულებამდე, ანუ მხარეთა პოლიტიკური თანასწორობის ამსახველი მოდელის მოძიებამდე და ამ მოდელის საქართველოს დეიურე ტერიტორიაზე დანერგვამდე.

დიტერ ბოდენს ჩემი რჩევა რომ გაეთვალისწინებინა, დაკარგული ტერიტორიების თემაზე დღეს აღარ ვისაუბრებდით, მაგრამ, ვინაიდან გაერომ, რომელიც მშვიდობის დაცვის იდეით შეიქმნა, ვერ უზრუნველყო მშვიდობა საქართველოს სუბიექტებს შორის, იძულებული ვართ, ვეძიოთ ვინმე სხვა, ვინც საქართველოს კონფლიქტების სამართლიანად დასრულების პროცესს წარუძღვება.

მოსკოვი ან ვაშინგტონი საქართველოს გამთლიანების პროცესს ვერ წარუძღვებიან. იმიტომ ვერ წარუძღვებიან, რომ მოსკოვი ამიერკავკასიიდან ვაშინგტონის განდევნაზე მუშაობს, ვაშინგტონი კი პირიქით, მოსკოვის განდევნას ცდილობს. ვერც სოხუმი ან ცხინვალი წარუძღვებიან ამ საქმეს, ვინაიდან დღესდღეობით საქართველოში დაბრუნება კი არა, პირიქით, რუსეთთან მიერთება სურთ. ავტომატურად რჩება მხოლოდ თბილისი, მაგრამ ოფიციალურმა თბილისმა რომ ითავოს კონფლიქტების დარეგულირების წინამძღვრობა, სოხუმი და ცხინვალი ამას უფროსი ძმის კარნახად აღიქვამენ. სოხუმმა და ცხინვალმა იმიტომაც დატოვეს საქართველო, რომ უფროსი ძმის კარნახით არ ეცხოვრათ. მხარეთა პოლიტიკური თანასწორობა სწორედ უფროს-უმცროსი ძმობის ცნებას წაშლის, მაგრამ ვიღაცამ უნდა უხელმძღვანელოს და წარუძღვეს ამ პროცესს.

წინამძღვრის მნიშვნელობის დასანახად განვიხილოთ ასეთი მაგალითი. მოგეხსენებათ, ვაზიანში იგეგმება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი აეროპორტის მშენებლობა. რა არის საჭირო მის ასაშენებლად? საჭიროა პროექტი, ინვესტიციებით ან სხვა გზით მოძიებული ფინანსები და კარგი ინჟინერი, რომელიც ამ საქმეს წარუძღვება და აეროპორტს ააშენებს. თუ პროექტიც აქვს და დაფინანსებაც, ინჟინერს ისღა დარჩება, რომ მოიზიდოს სათანადო სპეციალისტები და მუშახელი, რათა დაიწყოს აეროპორტის მშენებლობა და პროექტით გათვალისწინებულ ვადაში დაასრულოს.

თუ ამ მაგალითს კონფლიქტების დარეგულირების თემას მივუსადაგებთ, დავინახავთ, რომ:

პროექტი - მხარეთა პოლიტიკური თანასწორობის ამსახველი მოდელის პოვნას და დანერგვას ნიშნავს.

პროქტზე მუშაობისთვის საჭირო სპეციალისტები - ხუთეულის ფორმატს ნიშნავს.

ინჟინერი - ნიშნავს სტრუქტურას, რომელიც ხუთეულის ფორმატის მუშაობას უდა წარუძღვეს, თვითონაც იმუშაოს მათთან ერთად და მხარეთა პოლიტიკური თანასწორობის ამსახველი მოდელის, პროექტით გათვალისწინებულ ვადაში დანერგვა უზრუნველყოს. ამ ვადასთან დაკავშირებით მე უკვე გამოვთქვი აზრი და განვსაზღვრე ერთი ან, მაქსიმუმ, ორი წლით. ყოველივე დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა ინტერვალები იქნება რაუნდებს შორის, საქმის ბოლომდე მიყვანას კი, მაქსიმუმ, 24 რაუნდი დასჭირდება.

ვაზიანის აეროპორტს დაფინანსება ექნება და აუცილებლად აშენდება, დაფინანსება დასჭირდება იმ სტრუქტურასაც, რომელიც საქართველოს გამთლიანების პროცესს, ანუ ხუთეულის ფორმატის მუშაობის პროცესს წარუძრვება.

გამოგიტყდებით, რომ იმ სტრუქტურის მისიის შესასრულებლად, რომელიც უნდა წარუძღვეს საქართველოს გამთლიანების პროცესს, 2015 წელს დავარეგისტრირე „მშვიდობის საფუძვლების ანალიტიკური კვლევების ცენტრი“. მაგრამ, განვლილი წლების განმავლობაში ფინანსური დონორები ვერ მოვიძიე. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ეს ცენტრი პენსიით დავარეგისტრირე, მიხვდებით, ალბათ, რომ ასეთი ცენტრი გინდ ყოფილა, გინდ არა. რისი შეთავაზება შეუძლია ჩემს სტრუქტურას ხუთეულის წევრისთვის? არაფრის. შეუძლია მხოლოდ წაუმღეროს ნაწყვეტი ყველასათვის ცნობილი სიმღერიდან: „რომ წაგიყვანო, სად წაგიყვანო, სახლი არა მაქვს, სად მიგიყვანო, მაგრამ მაინც წამოდიო“. საქმის კეთებას ისეთი სტრუქტურა სჭირდება, რომელიც თამამად ეტყვის ხუთეულს იგივე სიმღერიდან ამოღებულ ფრაზას: „იქ დაგხვდება ფაეტონი, ჩაჯექი და წამოდიო“.

ამიტომ, თუ მხარეთა პოლიტიკური თანასწორობით საქართველოს გამთლიანებას კონფლიქტების დარეგულირების სწორ გზად მიიჩნევთ, მინდა შემოგთავაზოთ ახალი სტრუქტურის დაფუძნების იდეა. ახალ სტრუქტურას დაერქმევა „პოლიტიკური თანასწორობით საქართველოს გამთლიანების ცენტრი“. სწორედ ეს ცენტრი წარუძღვება ხუთეულის ფორმატის მუშაობის პროცესს და თავადაც იმუშავებს მათთან ერთად საქართველოს გამთლიანებამდე. მაგრამ ამ ახალმა ცენტრმა ჩემი ცენტრის ბედი რომ არ გაიზიაროს, ვთავაზობ წარმატებული ადამიანებიდან ისეთებს, ვისთვისაც მეცენატობა და ქველმოქმედება ცხოვრების წესია, ერთად დავაფუძნოთ „პოლიტიკური თანასწორობით საქართველოს გამთლიანების ცენტრი“. ახალ ცენტრში საკუთარ თავს ვხედავ „მრჩეველი-კონსულტანტის“ პოზიციაზე.

მომდევნო ნომერში საუბარი გვექნება ჯერ არდაფუძნებული ახალი ცენტრის მუშაობის თანმიმდევრობაზე, ანუ განვიხილავთ ყველა იმ ნაბიჯს, რომელიც უნდა გადაიდგას საქართველოს გამთლიანებისკენ მიმავალ გზაზე და ამით ჩემი პუბლიკაციები დასრულდება.

როლანდ ნიკოლაიშვილი
„მშვიდობის საფუძვლების ანალიტიკური კვლევების ცენტრის“ თავმჯდომარე

რათა ცემეს ჩაქვი-ვანი?

მხატვარი იაგო ნიკოლაძე

— ზურაჯან, ქრისტე აღსდგა!

— ჭეშმარიტად!

— ის გნიდა ვირთხა სად არი, სახში რო არალი? — თავი გადაიქნია ერვანდამ ნანულის სახლისკენ.

— რა იყო, რო?

— არაფელი, აი, ესენები უნა ვაჩუქო, პადარკები, რა! აი, ესა კიდე, კარებთან უნა დაურჭო! — ამოალაგა დახატული კვერცხები, გაფერადებული პასკები და რაღაც გადახვეული.

— ეგ რა არის, ბიჭო, სად ნახე, ვინ მოგცა? — მოულოდნელობისგან, მგონი, პირი დავაღე.

— მინამ შენთან მოველ, აშიკასთან აველ და ადრე რო ნავთის წერტი იყო, იქა ქონდათ, ცალი — მანათი. ესა კიდე, ტრაფარეტი, იქვე იყო მიყუდებული — ცუდად იდო, ავიღე და წამოვიღე. ტო, რა დაქნეული სასტავია, ამოტონა

ვრედნი ბავშვი სად აკრიფეს? — ენას არ აჩერებდა, თან მეორე ცელოფნის პარკიდან „ახტამართან“ ერთად რაჭული ლორი, წითელი კვერცხები და პასკა ამოაძვრინა.

— არ ასვენებთ გამჩენი — რა ვიცი, სად შეაგროვეს...

— სლუში, ზურაჯან, ხო გახსომს, ჩვენ ბავშობაში ეგრე ვიცოდით, რო „ვასმოი პოლკი“ უპატრონო ბავშვებისგან იყო გაკეთილი და მაგითინაც იმსებოდა. გავარილი, რო იმიტო ეგეთი დაუნდობლები არიან, ოჯახური სითბო არ იციან და გაბოროტებულები არიანო, ამათაც ეგეთი რამიდამ აგროებენ? თან რა სექსუალნა აზაბოჩენები არიან, ნი პაიმუ, რა!

— ერთი მაგათი ჭკუაც ვატირე... დაჯექი, რას იყურები აქეთიქით?

— ეს ტრაფარეტი სუფრათან ხო არ გვედება, უპატრონო საფლავებივით გამოვალთ, თვალი არ გვეცეს, უცოლო კაცები ვართ, — ჩაიცინა და ტრაფარეტს გადახედა.

მანამდე არ დავინტერესებულვარ რა ტრაფარეტი იყო, ახლა კი ვანიშნე, გახსენი-მეთქი. გახსნა და სიცილი ამიტყდა.

— რა დურაკი უნა იყო ეგ რო დაიკაო ხელში, მითამ რა, კობახიძეს შეაშინებ, ღარიბაშვილსა თუ ივანიშვილსა, ჰა-ჰა, ნიჩურტაძე შეაშინო, — ახითხითდა ერვანდა.

— ნიჩურტაძე ოვა? — ჩავეძიე.

— მაჭუტაძე. მაგას რო მამამისი აკეთებდა, ნიჩურტა ქონდა, მაგრამ მაინც გაუძრა — მა მაგას პოლიტიკოსი უნა ერქვას და ლოვიკას სანტეხნიკი? ლოვიკა სუ აზრზეა, რა ხდება ვაკრუგ სვეტა, ეგა კიდე ვაბშე აზრზე არალი, — სრულიად სერიოზულად თქვა ერვანდამ. ტრაფარეტზე ის ქალი იყო გამოსახული, სამი ქმარი რომ ბინების დასაკუთრების მიზნით მოკლა და მოთხრობასავით გვიყვებოდა, როგორ გამოასალმა თითოეული სიცოცხლეს. ტრაფარეტზე გადაკრულ სურათს ეწერა: „რაც შეეხება 83 მოღალატეს!..“

— ვაჰ, თქვენი ფანტაზიორი დედები მოვიკითხე! — გამამხიარულა ტრაფარეტმა.

— აი, მაგას დაურჭობ ნანულას კარების წინა და მერე ნახე იმისი კივილი. ჩვენ მხრები გავიჩეჩოთ, ჩვენ რა ვიცით, ვინ დარჭო? — წინსწრებით ხარობდა ერვანდა.

— ჯერ აქ იყოს, სუფრასთან დავიდოთ, სამნი უფრო მხიარულად ვიქნებით, — ვხვიხვინებდი ცხენივით.

— ზურაჯან, ის რა ახალი ზაკონი მოიტანა ამ „მეჩტამ“, ცოტა ვერ გავიგე — ზნაჩიტ, თუ რომ ნანულა ვიქნები, სპისოკში შემიყვანენ, როგორც რო ნეგოდნი ელემენტი?

— ეგრეა, მაგრამ ნანული ვის დაჰკარგვია, ერთი რიგითი ნაციონალია, თანაც მერყევი.

— ვა, ზნაჩიტ იქ ურყევი ნაცანალები იქნებიან, ვრაგ ნაროდას პონტში — ინტერესნი წასაკითხი იქნება, — ჩაფიქრებულმა გახედა „ახტამარის“ ბოთლს შუაწელში.

— რა იყო, რამ ჩაგაფიქრა?

— ანგარიშს ვაკეთამ. აგე, ის რო ცემეს, ჩაქვი-ვანი, ეგრე თქვა აშიკამ, 10 კაცი მიიყვანა ტიპმა და ნახევარი მიცეს, 750 ლარი და იმიტო ცემესო. ზნაჩიტ, კაცი 150 ლარი ღირს. ეგა მცოდნოდა, მეც ხო ვივლიდი, დღეში 150 ლარი კაი ფულია. ჰამა, ვიდგებოდი ჩემთვინ სპაკოინათ და მუქთასაცა ვჭამდი. მე ვიყო ზიმბაბვეს შპიონი, თუ მართლა არ ვამბობდე. არაფელ არ გავაფუჭებდი, ვიდგებოდი, რა!

— ბიჯო, იმ პედერასტების გვერდზე იდგებოდი? სინდის-ნამუს ჩკაა?

— ნამორდნიკს მოვიბამდი და ვსიო, ერვანდა არ არის, ვიღაც ტოჟემ პიდარასტია, — ახითხითდა ერვანდა.

— გველებო, თქვენ ამოწყდითო, როგორ ვთქვა ბრწყინვალე შვიდეულში, მაგრამ ჩათვალეთ, რომ ვთქვი! თქვე ველურებო! — შემოვარდა ნანული კივილით.

— ქრისტე აღსდგა! — აჯახა ერვანდამ.

— ვიცი! — უყვირა ნანულიმ.

— ვა, ნიუჟელი? საიდამ იცი, აქციაზე გითხრეს? — ჟასიდად გაიოცა ერვანდამ.

— რა გინდათ იმ ბიჭებისგან, რატომ სცემთ! რას დაგვდევთ, რატომ გვიჭერთ! — ფეხები დაგვიბაკუნა ისტერიკაში ჩავარდნილმა ნანულიმ.

— ცავატანემ, ბევრი საკითხია, დაალაგე და ისე ვთქოთ. ვა პერვიხ, ფული მოგვიტეხეს, მააშ! — სერიოზული სახით უთხრა ერვანდამ.

— რა ფული მოგიტეხეს, შე იდიოტო! — დასაბმელი იყო ქალი.

— მიგვიყვანეს, გვაყვირეს ი 150 ლარის მაგივრათ 75-ს გვაძლევდენ, ავიღეთ და ვცემეთ, მა, როგორა? — სერიოზულ იერს არ იშორებდა ერვანდა.

— მოიცა, მოიცა, 150 ლარს აძლევენ იმათ? — უცბად შეცვალა ტონალობა ნანულიმ.

— ჰო, რა იყო! ბა, შენ რამდენ გაძლევენ?

— ვაიიიი! მოიცა, გავარკვიო ეგ ამბავი და თუ მართლა ეგრეა, ნახე, თუ პირდაპირ სუს-ში არ წავიდე და არ ჩავუკაკლო ყველაფერი! — დაიქადნა აღშფოთებულმა, მაგრამ მაინც დაეჭვებულმა ნანულიმ.

— ნელა წადი, ფეხი არაფელ წამოკრა — სუს-მა შენზე კარგად იცის ყველაფერი, რა უნა ჩაუკაკლო, თანაც, სუს-ითვინ ჩაკაკლა ბოზურია, ნანულაჯან, არა გცხვენიან? მამენტ, შენც კაი ნიკალაევსკი ხარ, რა უნა შეგრცხვეს, — დააბოლოვა ერვანდამ და სანამ რამე მოხვდებოდა, გარეთ გავარდა.

— ზურა, მოვკლავ იმას! — საჩვენებელი თითი ასწია ნანულიმ და ისე მიიხრა სისინით.

— დაჯექი, ჰო, ნუ იცი შენ კიდე ბაზრის ქალივით წივილი, — დავუყვავე, მაგრამ რა გააჩერებდა,



მაინც რატრატებდა კაიხანს.

— ნანულაჯან, ცავატანემ, კობრა გაუშვი? — ცოტახანში კარებიდან შემოსძახა ერვანდამ.

— შემოეთრიე, გამიარა, — გაეცინა ნანულის.

— ზნაჩიტ, აი, ეხლა, სბალშიმ პაკლონომ, აბა, უთხარი, რათ დარბიხარ იმ აქციებზე, რათ ანბობ, რო ის პრაზრაჩნი კანონი რუსულია. ჰო, აბა, უთხარი, წაგიკითხამს ვაბშე?

— შენ რატომ ამბობ, რომ რუსული არ არის, შენ ხომ ჩააბულბულე, რა! — შემოუბრუნა ნანულიმ და აი, მანდ შეცდა.

— დიახაც, წამიკითხავს, ჰამა, სუ ბუკვა-ბუკვა. აშიკამ წამაკითხა კამპიუტერში. ძაანაც კაი რამე კანონია, ნუ, ჩემთვინ, შენთვინ — არა. იცი, რათა? იმათა, რო მაგ კანონის მერე, სამშობლოს საღალატოდ შენ ფულ აღარ მოგცემენ, მე კიდე, მაინც არ მაძლევენ და

შენ კიდე პალიტიჩესკი მაბრაზებდი მაგ ფულითა, — ჩამოუყალიბა ერვანდამ.

— მართლა?

— აბა, ბებიშენისამ, სუ მიშა გაძლემს თავი ფოხანიდანა...

— ფოხანი შენ გაცვია! — მიშას ფოხანიღა დაიცვა ნანულიმ.

— კიტაროს! მე პლავკები მაცვია, მიშას კიდე იმოდენა ფოხანი, ჰამა შავი, რო შიშისგან გაეპაროს, არ დაეჩნეს, აშიკას კამპიუტერშიდ ვნახე, რაც აცვია, — ახითხითდა ერვანდა.

— მართლა რუსული ყოფილა, წაკითხვა რათ უნდა... პუტინი ამოწყდეს ერთ დღეს! — იმას მაინც მიაწყევლა ნანულიმ.

— ნანულაჯან, ქრისტიანი ხარ, ქრისტიანი კაცია, რათ იწყევლები ამ კვირაში მაინცა, არა გცხვენიან, ცავატანემ?

— ღმერთი მაპატიებს! დამჯდარა ეს ნახევარმეტრიანი კაცი და მსოფლიოსგან მიტოვებული ინაუგურაციას მართავს. უსირცხვილო!

— ვა პერვიხ, კი არ დამჯდარა, ამდგარა! ვა ვტარიხ, სწორედაც რო მსოფლიოო იყო შენი წვინტლიანი პიდარასტების გარდა. ტო, მე ის მიკვირს, საფრანგეთი რო გაეძრო. სლუში, საფრანგეთი რაღაც სხვანაირად ურევს, აი! ნუ, ის სლოვაკია და საბერძნეთები არ მიკვირს... ტო, მალტა ვისია?

— მალტა მალტაა! მანამდე ხან ფრანგებისა იყო, ხან ბრიტანელების... ბიჯო, ნახევარი სომხეთი საფრანგეთში ხართ და ეტყობა, მაკრონს სომხებმა ასწავლეთ „ხოდ კანიომ“, — ამიტყდა სიცილი.

— და, ნანულაჯან, მისამე! რათ გიჭერთ და იმათა, რო ასკარიდები ხართ! რათა ვრედნობთ? სლუში, ამდენი ნაბ&&&რი ეგეთ პატარა ქვეყანაში, სლიშკომ ბევრია, — გადმომხედა მე და მეც თავის დაქნევით დავუდასტურე.

— მაინც რუსულია! — ბოლომდე არ გატყდა ნანული.

— კანადურია, ამერიკულია, ავსტრალიურია, მოსულა? მიოთხე, ქალაქელი ქალი ხარ, რატო ეგრე ფინთი გოიმივით არყემ მაგ ქათმიტვინიტოლა ტვინსა? და ვაბშემაც, აბა, უყურე, რა სასტავში ხარ, პედერასტებში და ნარკომანებში, მანდ რა გაგათხოებს წყევლიან კრუხსა? — ახითხითდა ერვანდა.

— ქალაქელი რა შუაშია...

— ტო, იქ რო კივიან 37-მანეთიან მოსკოვის ბილეთებზე, არაფრის საიმში არ არიან, გომბორზე რო ვერონას გადასახვევთან გაუჩერო, ეგონებათ, რო უჟე შიგ ევროპაში, იტალიაში არიან. მაგათ გამკეთებლები სოფლიდამ რო ჩამოვიდენ, დომ კინოს შენობა, ვერხუშკი გულითვინ, კრემლი ეგონათ, მაგათ უნა აყვე? ი ბოლო — სანამ უჩას პორნოში არ გადაგიღებენ, არ მოეშვები მაგათა?

— აღდგომის სომეხო გველო! — ტორშერს წამოავლო ხელი და იმხელა იკივლა ნანულიმ, კარებში გავარდნილი ერვანდა ქუსლებს კეფაში ისე იტყამდა, კინაღამ მეც უკან გავყევი...

ზურა ოქსხრელი

ბენიამინ ნეთანიაჰუ: თუ დაგვჭირდება, ფრჩხილებითაც ვიომებთ!

გაურკვევლობამ დაისადგურა მსოფლიოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. მიზეზს, რომელსაც ანალიტიკოსები ასახელებენ, ერთი შეხედვით აშკარად ხედავს საზოგადოება — ეს არის წამყვანი ქვეყნების მეთაურთა არათანმიმდევრული ქმედებები, რომლებიც ხშირად იცვლიან წინასწარ გაცხადებულ პოზიციებს. მათი მერყეობა პლანეტაზე ახალი ცხელი წერტილების აღმოცენებას უწყობს ხელს. თუმცა, არსებობს სახელმწიფოები, რომელთა მეთაურებიც დინჯად ახორციელებენ საკუთარი ქვეყნებისთვის საჭირო და სასარგებლო საშინაო თუ საგარეო პოლიტიკას.

ხუთ წელიწადზე მეტი გავიდა, რაც ჩინეთის მმართველი სი ძინპინი ევროპაში ოფიციალური ვიზიტით არ ყოფილა. ამის მიზეზი თავდაპირველად კოვიდ-პანდემია, შემდგომ ცალკეულ ქვეყნებთან პოლიტიკური უთანხმოება იყო. წლეულს ჩინეთში ვიზიტებით იმყოფებოდნენ სხვადასხვა ქვეყნების წამყვანი პოლიტიკოსები, რომლებსაც საკუთარი ინტერესების განხორციელება სურდათ, მაგრამ ჰქონდათ საერთო მიზანი — როგორმე ჩამოეშორებინათ ჩინეთი რუსული ორბიტიდან, თუმცა, ვერ შეძლეს დასახული გეგმის განხორციელება, რადგან ჩინეთი დიდი რაოდენობით და შეღავათიან ფასად ყიდულობს რუსეთისგან

ენერგომატარებლებს, სხვადასხვა ნედლეულს და, საერთოდ, ამ ორ ქვეყანას ერთმანეთთან მჭიდრო სავაჭრო კავშირი აქვს.

წლევანდელი ევროპული ტურნე სი ძინპინმა საფრანგეთიდან დაიწყო. მასპინძელი ქვეყნის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი საგანგებოდ ემზადებოდა ჩინეთის დელეგაციის დასახვედრად. იგი ცდილობდა, სი ძინპინი დაეყოლიებინა საფრანგეთში ინვესტიციების განხორციელებაზე. ამის გარდა, მაკრონს სხვა პოლიტიკური მიზნებიც ჰქონდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სი ძინპინთან შესახვედრად პარიზში საგანგებოდ ჩავიდა ევროკავშირის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ურსულა ფონ დერ ლაიენი. მისი და ემანუელ მაკრონის განზრახვა იყო სი ძინპინის გადაბირება, რათა მას რუსეთისთვის სამხედრო თუ ეკონომიკური დახმარება შეეწყვიტა უკრაინასთან მიმდინარე ომში. ანალიტიკოსების შეფასებით, ორივე პოლიტიკოსი „ჩინურ კედელს“ წააწყდა, ვერაფერში დაიყოლიეს. უფრო მეტიც, ექსპერტების განცხადებით, ურსულას საუბარში ჩართვამ საფრანგეთ-ჩინეთის დელეგაციების დიალოგში დაძაბულობა შეიტანა, განსაკუთრებით, ევროჩინოვნიკის განცხადების შემდეგ: „...ევროპის ბაზრის ჩინეთისგან დასაცავად ყველა ზომას გამოვიყენებთ“. აშკარად გამოჩნდა — ურსულას პარიზში ჩასვლამ საფრანგეთ-ჩინეთს შორის გარკვეული კონტრაქტების განხორციელება დაამუხრუჭა.

დაძაბული სიტუაცია ვერ განმუხტა მაკრონის მიერ სი ძინპინის პირენეის მთებში მიპატიჟებამ, სადაც იგი ბებიასთან ერთად არდადეგებზე ისვენებდა. ცუდი ამინდის გამო ორი ქვეყნის მეთურებმა სხვადასხვა საკითხზე საუბრის გაგრძელება შეძლეს, მაგრამ ფრანგული პრესის ინფორმაციით, არანაირი მიღწევა მაკრონს არ ჰქონია. ფრანგი ჟურნალისტ-მიმომხილველების შეფასებით, მათი ქვეყნის დიპლომატია დაღმასვლის გზაზეა.

და კიდევ — ემანუელ მაკრონისა და სი ძინპინის ერთობლივ ბრიფინგზე ჩინეთის მმართველმა რუსეთ-უკრაინის ომის შეჩერებასთან დაკავშირებით წამოაყენა იდეა — გაიმართოს სამშვიდობო კონფერენცია ისეთ ფორმატში, რომელიც მისაღები იქნება როგორც უკრაინისთვის, ასევე რუსეთისთვის. მაკრონმა კი განაცხადა, რომ „...საფრანგეთი არ ებრძვის არც რუსეთს არც მის ხელისუფლებას და არც რუს ხალხს“.

თავდაპირველად მაკრონის სიტყვები საზოგადოებამ უადგილოდ მიიჩნია, მაგრამ რეალობა მოგვიანებით გაირკვა. მაკრონმა რამდენჯერმე წამოაყენა იდეა უკრაინაში ევროპის ერთობლივი ჯარების გაგზავნის შესახებ. ბოლოს კი განაცხადა, რომ მზად არის, გააგზავნოს საფრანგეთის ჯარისკაცები, თუ უკრაინის ხელისუფლება თხოვნით მიმართავს. მისი გამონათქვამებისთვის რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში დაიბარეს საფრანგეთის ელჩი, რომელიც უწყებიდან აშკარად დათრგუნული გამოვიდა. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში, ასევე, ბრიტანეთის ელჩიც დაიბარეს მისი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრის დევიდ კემერონის გამონათქვამის გამო: „...უკრაინას შეუძლია იქ გამოიყენოს ჩვენგან შეძენილი იარაღი, სადაც საჭიროდ მიიჩნევს“. რუსეთის მხარემ კემერონის სიტყვები მის ტერიტორიაზე შეტევების წახალისებად აღიქვა. გასულ კვირას რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა ბრძანა არასტრატეგიული ბირთვული შეიარაღების შენაერთების წვრთნების დაწყება. ამიტომაც, ფრანგმა და ბრიტანელმა პოლიტიკოსებმა უკან წაიღეს თავიანთი სიტყვები.

სხვათაშორის, 9 მაისს, მოსკოვში ფაშიზმზე გამარჯვების აღსანიშნავად გამართულ აღლუმს წამყვანი ქვეყნების წარმომადგენელთაგან მხოლოდ საფრანგეთის ელჩი ესწრებოდა...

საფრანგეთიდან სი ძინპინი სერბეთში გაემგზავრა, რომლის დედაქალაქშიც 7 მაისს ჩავიდა. ზუსტად 25 წლის წინ, ამ დღეს, ნატო-ს კოალიციურმა ჯარებმა ბელგრადში ჩინეთის საელჩო დაბომბეს, რა დროსაც დაიღუპა ჩინეთის 3 და დაიჭრა 25 მოქალაქე. კოალიციამ შეცდომა აღიარა, ბოდიშიც მოიხადა, მაგრამ ჩინელები დღემდე ვერ ივიწყებენ მომხდარს. სერბეთის პრეზიდენტმა ალექსანდრ ვუჩიჩმა სი ძინპინთან შეხვედრაზე კიდევ ერთხელ აღიარა ტაივანი ჩინეთის განუყოფელ ტერიტორიად. სერბეთიდან ჩინეთის მმართველი უნგრეთში ჩავიდა, სადაც პომპეზური დახვედრა მოუწყვეს. ჩინეთისა და უნგრეთის ხელისუფლებების წარმოადგენლებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის თანახმადაც, უნგრეთში ჩინეთი გიგანტურ ავტოსაშენებლო ქარხანას ააშენებს, რაც უდიდესი ინვესტიციაა. სი ძინპინის სერბეთსა და უნგრეთში განხორციელებულმა ვიზიტმა დასავლეთ ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში პანიკა გამოიწვია.

გავრცელებული ინფორმაციით, აშშ და მისი აზიელი მოკავშირე ქვეყნები ჩინეთთან სავაჭრო ომისთვის ემზადებიან. კონკრეტულად, აშშ-ში ოთხჯერ გაიზრდება გადასახადები ჩინურ ელექტრომობილებზე. საინტერესოა, რომ ამერიკელი მილიარდერი ბიზნესმენი, ელექტრომობილების ერთ-ერთი უდიდესი მწარმოებელი ილონ მასკი ჩინური ელექტრომობილების კონკურენტუნარიანობას აღიარებს. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ევროპული ავტომწარმოებელი საწარმოების მნიშვნელოვანი ნაწილის მფლობელები ჩინელები არიან, რომლებიც გადასახადების გაზრდას აქტიურად აპროტესტებენ.

გაურკვევლობაა აშშ-ის შინაურ პოლიტიკაში. ამერიკულ პრესაში გაჟონა ინფორმაციამ, რომ დემოკრატიული პარტიის წევრები მოქმედ პრეზიდენტ ჯო ბაიდენს მხარს აგვისტომდე დაუჭერენ. პარტიის ყრილობაზე აპირებენ საპრეზიდენტო არჩევნებებში მისი კანდიდატურის ჩანაცვლებას. ფაქტობრივად, განიხილავენ 44-ე პრეზიდენტის, ბარაკ ობამას მეუღლის, მიშელის კანდიდატურას. რა დამსახურებისთვის, უცნობია. პოლიტიკური გამოცდილება, გარდა იმისა, რომ პრეზიდენტის ცოლი იყო, არ გააჩნია. თუმცა, პოლიტიკაში, მით უფრო, აშშ-ში, ყველაფერია მოსალოდნელი.

გასულ კვირას დაჯგუფება „ჰამასის“ მებრძოლები შუამავლების მიერ შეთავაზებულ წინადადებებს ცეცხლის შეწყვეტისა და ტყვეების გაცვლის თაობაზე, დათანხმდნენ. მიუხედავად ამისა, ისრაელის ავიაციამ კვლავ მიიტანა საჰაერო იერიშები ღაზას სექტორში უკიდურეს სამხრეთში მდებარე ქალაქ რაფახზე, რომელიც უშუალოდ ესაზღვრება ეგვიპტეს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ანტონიო გუტერიეში რეალურად შეაშფოთა მომხდარმა და ისრაელს მოუწოდა, შეეწყვიტოს ცეცხლი და დიპლომატიურ მოლაპარაკებებს დაუბრუნდეს. თუმცა, ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ უკვე აღარავის აზრს აღარ ითვალისწინებს. შეტევას კიდევ ერთი მძევალი ემსხვერპლა. „ჰამასის“ მიერ დატყვევებულთა ნათესავები კვლავ მოითხოვენ ისრაელის პრემიერის გადადგომას და მძევლების გათავისუფლებას.

ორი დღის წინ ისრაელის არმიამ განაახლა სახმელეთო სამხედრო ოპერაცია ღაზას ჩრდილოეთით მდებარე ქალაქ ჯაბალში. სამხედროების განცხადებით, მათ მიიღეს დაზვერვის ინფორმაცია, რომ იქ „ჰამასმა“ ინფრასტრუქტურა აღადგინა და ძალებს იკრებს. გუტიერეში კვლავ მოუწოდებს მხარეებს, დაუყოვნებლივ შეწყვიტონ ცეცხლი.

ღაზას სექტორში საბრძოლო მოქმედებების განახლებამ შეაშფოთა აშშ-ის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი. სიენენთან ინტერვიუში ბაიდენი დაემუქრა ისრაელს იარაღის მიწოდების შეწყვეტით, თუ ანკლავში საბრძოლო მოქმედებების არეალს გააფართოებენ და რაფახში სახმელეთო ოპერაციას დაიწყებენ. იმავე ინტერვიუში ბაიდენმა განაცხადა, რომ „ღაზას სექტორში მშვიდობიან მოსახლეობაში დიდი მსხვერპლის ერთ-ერთი მიზეზი ამერიკულ იარაღია“. გასულ კვირას აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ლოიდ ოსტინმა დაადასტურა, რომ უკვე შეფერხდა იარაღის ერთი პარტიის მიწოდება.

„...ისრაელს შესწევს ძალა, მარტომ აწარმოოს ომი... თუ მარტო დგომა მოგვიწევს, მარტო ვიქნებით. თუ დაგვჭირდება, ფრჩხილებითაც ვიომებთ“, — უპასუხა ნეთანიაჰუმ ბაიდენს მუქარაზე. აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ენტონი ბლინკენის განცხადებით, მისმა უწყებამ ვერ გამოავლინა ისრაელის მიერ საერთაშორისო სამართლის დარღვევის ფაქტები. თუმცა, პრეზიდენტის ადმინისტრაციაში არ უარყოფენ ცალკეული დარღვევების არსებობას.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გრძელდება პალესტინის მხარდამჭერი აქციები, მაგრამ ცალკეული ქვეყნების მეთაურებს არ ესმით არც მათი და არც გაეროს გენმდივნისა. სამწუხაროდ, ასეთია დღევანდელი რეალობა.

გია ბურდული

სასამართლო მედიაცია – დავების გადაწყვეტის ალტერნატიული ინსტიტუტი

ქართულ მართლმსაჯულებაში დავის გადაწყვეტის კიდევ ერთი ალტერნატიული ინსტიტუტი გაჩნდა, რომელიც დღეს სასამართლო მედიაციის სახელითაა ცნობილი. მედიაცია კონფლიქტების მოგვარების ერთ-ერთი მეთოდია, რომლის დროსაც მიუკერძოებელი მხარე (მედიატორი) მოდავე მხარეებს ურთიერთმისაღები შეთანხმების მიღწევაში ეხმარება.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, დაფუძნდა სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაცია“, რომელსაც ადვოკატი ირაკლი ყანდაშვილი ხელმძღვანელობს.

რა უნდა ვიცოდეთ მედიაციის შესახებ?

მედიაცია არის მოლაპარაკების მეთოდი, რომელიც წარიმართება დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და ნეიტრალური მესამე პირის - მედიატორის მიერ. მედიატორი ეხმარება დავაში მონაწილე ორივე მხარეს საერთო ინტერესებისა და შეთანხმების მიღწევაში. მედიაცია დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმია და სასამართლო და საარბიტრაჟო წარმოებისაგან განსხვავებით, გაცილებით სწრაფი, ხელმისაწვდომი, ნებაყოფლობითი, მხარეთა ინტერესებზე მორგებული და სრულად კონფიდენციალური პროცესია. კონფიდენციალურობა გულისხმობს, რომ მედიატორს და მხარეებს არ აქვთ უფლება, გაამჟღავნონ ის ინფორმაცია, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა მედიაციის პროცესის მიმდინარეობისას. მხარეებს შორის შეთანხმების მიღწევლობის შემთხვევაში, კონფიდენციალობის პირობით, გამჟღავნებული ინფორმაცია და დოკუმენტები წარმოადგენენ დაუშვებელ მტკიცებულებას სასამართლოში, მედიატორი კი არ შეიძლება დაიკითხოს იმ საქმეზე, რომელზეც ის მედიაციის პროცესს აწარმოებდა.

ვინ არის მედიატორი?

მედიატორი არის დამოუკიდებელი, ნეიტრალური, ობიექტური და მიუკერძოებელი პირი, რომელიც შუამავალია მხარეებს შორის დიალოგის წარმართვისას და უზრუნველყოფს უშუალო, მშვიდობიანი და ერთმანეთთან თანამშრომლობისათვის განწყობილი ატმოსფეროს შექმნას.

მოსამართლისაგან განსხვავებით, მედიატორი არ იღებს გადაწყვეტილებებს და ადვოკატის მსგავსად არ გასცემს რჩევებსა და კონსულტაციებს. მისი დანიშნულებაა, დაეხმაროს მხარეებს ინტერესების გამოვლენასა და მოლაპარაკების წარმოებაში.

მედიაციის ერთი-ერთი უპირატესობა გახლავთ მხარეთა შესაძლებლობა, შეარჩიონ სასურველი მედიატორი. ეს შესაძლებლობა არსებობს როგორც სასამართლო, ასევე კერძო მედიაციაში.

კანონი გვთავაზობს სარეკომენდაციო ჩამონათვალს, რომლითაც მხარეებს შეუძლიათ, იხელმძღვანელონ მედიატორის არჩევისას. მედიატორის არჩევისა და დანიშვნის დროს გასათვალისწინებელია, რომ იგი პროცესში იყოს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი; აგრეთვე, აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს: მედიაციის ან მოლაპარაკებების წარმართვის გამოცდილება, სასამართლო წარმოების ან დავის ალტერნატიული გზით გადაწყვეტის პროცესში მონაწილეობის გამოცდილება, შესაბამის სამართლებრივ საკითხებზე მუშაობის გამოცდილება, აღიარებული ორგანიზაციის აკრედიტაცია, საქმიანი რეპუტაცია და ავტორიტეტი და სხვა.

როდესაც მხარეები სახელშეკრულებო წესით თანხმდებიან მედიაციაზე, სამედიაციო შეთანხმებაში მათ შეუძლიათ დამატებითი მოთხოვნების გათვალისწინება მედიატორის მიმართ. ამ გზით წინასწარ იქნება დაზღვეული საქმეში ისეთი მედიატორის ჩართვა, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს მხარეთა ხელშეკრულებით განსაზღვრულ კრიტერიუმებს. ვინაიდან მედიაცია მხოლოდ სამართლებრივ საკითხებზე მსჯელობას არ ეთმობა და ორიენტირებულია კონფლიქტის მიზეზების ძიებასა და მხარეთა შორის არსებული პირადი ურთიერთობების მოგვარებაზე.

როდის მივმართოთ მედიაციას?

სასამართლო მედიაცია სამოქალაქო საქმის წარმოებაზე ვრცელდება. მედიაციისათვის დავის გადაცემა შესაძლებელია სასამართლოს მიერ საქმის წარმოებაში მიღების შემდეგ.

სასამართლო მედიაციის ორი ფორმა არსებობს: ნებაყოფლობითი და სავალდებულო. ნებაყოფლობითი მედიაციის ფარგლებში, მხარეთა თანხმობით, ნებისმიერი სამოქალაქო დავა შეიძლება გადაეცეს სასამართლო მედიაციას. სავალდებულო მედიაცია შემდეგი კატეგორიის დავებზე ვრცელდება:

• საოჯახო ურთიერთობები, როგორიცაა: განქორწინება, ალიმენტის დაკისრება, მეუღლეთა თანასაკუთრება, შვილთან ურთიერთობის წესის განსაზღვრა და ა. შ. (გარდა შვილად აყვანასთან, შვილად აყვანის ბათილად ცნობასთან, შვილად აყვანის გაუქმებასთან, მშობლის უფლების შეზღუდვასთან, მშობლის უფლების ჩამორთმევასთან, აგრეთვე ქალთა მიმართ ძალადობასთან ან/და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული დავებისა);

• სამემკვიდრეო დავები;

• სამეზობლო დავები;

• შრომითი დავები (გარდა საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“ გათვალისწინებული კოლექტიური დავისა);

• საზიარო უფლების რეალიზაციასთან დაკავშირებული დავები;

• ქონებრივი დავები, თუ დავის საგნის ღირებულება 20 000 ლარს არ აღემატება;

• საქართველოს საბანკო დაწესებულებების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების მიერ დადებული სესხის ხელშეკრულებებიდან (მათ შორის, ელექტრონული ფორმით დადებული სესხის ხელშეკრულებებიდან) გამომდინარე დავები, თუ დავის საგნის ღირებულება 10 000 ლარს არ აღემატება;

• არაქონებრივი დავები.

რატომ ვირჩევთ მედიაციას ?

სასამართლოში საქმის წარმოებასთან შედარებით მედიაცია უფრო სწრაფი, იაფი და მოქნილი პროცესია. სასამართლო მედიაციის ვადა შეადგენს 45 დღეს, მაგრამ არანაკლებ 2 შეხვედრისა. აღნიშნული ვადა მხარეთა შეთანხმებით შეიძლება გაგრძელდეს იმავე ვადით. პირველი ინსტანციის საქმის წარმოებისას, ბაჟის საფასურის დავის საგნის 3%-ის ნაცვლად, მედიაციაში 1% გადაიხდება. სასამართლო მედიაციის პროცესში დავის მხარეთა შეთანხმებით დასრულების შემთხვევაში, მოსარჩელეს უბრუნდება გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%. მედიაცია არაფორმალური პროცესია. არ არის შებოჭილი ფორმალური პროცედურებით და მხარეები თანხმდებიან მედიაციის წარმართვის წესებზე. შესაბამისად, მხარეები თავად განსაზღვრავენ მედიაციის საბოლოო შედეგს.

მედიატორთა ასოციაციამ დაადგინა მედიატორთა პროფესიული სტანდარტი. კერძოდ, 2020 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილებით, დამტკიცდა „მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამა“ – კანონით მედიატორის პროფესიაში შესვლისთვის დადგენილი სავალდებულო კომპონენტი. მისი მეშვეობით უზრუნველყოფილია მომავალი მედიატორის აღჭურვა თეორიული ცოდნითა და სამედიაციო უნარ-ჩვევებით. ამავე ასოციაციის წესდების თანახმად, მედიატორი შეიძლება იყოს ნებისმიერი ქმედუნარიანი ფიზიკური პირი, რომელიც არ არის ნასამართლევი და არის ასოციაციის წევრი, რომელსაც გავლილი აქვს მედიაციის ან მედიატორის ტრენინგი და მიღებულია აქვს შესაბამისი ლიცენზია.

სასამართლო მედიაციას მრავალი უპირატესობა აქვს, მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც ის არის, რომ ეს ინსტიტუტი დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფი და ეფექტური საშუალებაა საქმეებისგან გადატვირთული სასამართლოების ფონზე. შესაძლებელია, მომავალში მედიაციის საქმეთა განხილვის წრეც გაფართოვდეს.

ლევან ჭიღლაძე

იურიდიული რჩევები

თქვენს კითხვებს პასუხობს საერთო სპეციალიზაციის ადვოკატი ლევან ჭიღლაძე

– ჩემს მიწის ნაკვეთში ვიპოვე განძი. როგორ მოვიქცე ?

– სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, თუ განძი ნაპოვნია თქვენს საკუთრებაში და ისე იყო დაფლული, რომ შეუძლებელია მესაკუთრის დადგენა, მაშინ საკუთრება სანახევროდ გადადის ნივთის მპოვნელზე, ანუ თქვენზე და სახელმწიფოსგან შესაბამისი კომპენსაციის მოთხოვნის უფლება გაქვთ.

●

– საჯარო რეესტრში არ არის დაცული საკუთრების შესახებ დოკუმენტები. სხვაგან სად შეიძლება მათი მოძიება?

– საჯარო რეესტრის გარდა, დოკუმენტები დაცულია ტექბიუროში. თქვენ შეგიძლიათ იმავე საჯარო რეესტრში დაწეროთ განცხადება მათი მოძიების შესახებ, რადგან შესაძლებელია, საჯარო რეესტრში არ იყოს რეგისტრირებული ძველი ჩანაწერები.

●

– რამდენ ხანში უნდა დავარეგისტრირო სახელმწიფო სერვისებში სასამართლოს გადაწყვეტილება განქორწინების შესახებ, რომ მას ძალა ჰქონდეს?

– კანონის თანახმად, განქორწინების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება სახელმწიფო სერვისებში უნდა დარეგისტრირდეს სამი წლის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ განქორწინება ბათილია.

●

– მაქვს მიწის ნაკვეთი, რომელიც კანონით ჩემი საკუთრებაა, მაგრამ სახლი საკუთრებაში არ მაქვს რეგისტრირებული. როგორ გავიფორმო?

– თუ მიწის ნაკვეთი მყარად არის დაკავშირებული სახლთან, თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ არქიტექტურის სამსახურს და მოითხოვოთ მისი ლეგალიზება, თქვენს საკუთრებაში გადაცემა.

●

– რა ვადებშია შესაძლებელი უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ხელშეკრულების გაუქმება?

– უძრავ ქონებასთან დაკავშირებით ხელშეკრულების ბათილობა, გაუქმება, შესაძლებელია ექვსი წლის განმავლობაში.

ტელ: 555 75-04-45

„არა, სხვისი მისაბაძი რა მჭირს, - თვარა, - კი!..“

(დასასრული.
დასაწყისი „სგ“ N14.)

1991 წელი — ერაყი. აშშ-მა ფართომასშტაბიანი სამხედრო აქცია წამოიწყო ერაყის წინააღმდეგ, რომლის დროსაც დაიღუპა, მინიმუმ, **150 000** მშვიდობიანი მოქალაქე. მშვიდობიანი ობიექტების მიზანმიმართული დაბომბვა ერაყის მოსახლეობის დასაშინებლად ხორციალდებოდა — სხვა არაფერი...

ქუვეითი, სომალის ოპერაცია — შეიარაღებული ძალადობა მშვიდობიან მოსახლეობაზე, რომლის

დროსაც რამდენიმე ათასი ადამიანი დაიღუპა.

ანგოლა — ნავთობისა და დანამატების ინტერესების გამო აშშ-ის მიერ დაფინანსებულმა და იარაღით აღჭურვილმა პრეზიდენტობის კანდიდატმა არჩევნები მაინც წააგო და.. დაიღუპა **650 000** ადამიანი. როდესაც აშშ-მა თავისი მიიღო, საომარი მოქმედებების შეწყვეტა მოსთხოვა „ფავორიტს“, მაგრამ უარი მიიღო. ამ დროს ითქვა ამერიკელი დიპლომატის ცნობილი ფრაზა **„თოჯინების პრობლემა ის არის, რომ ისინი ყოველთვის არ რეაგირებენ, როცა ძაფს მოქაჩავენ“**...

1993-1996 წლები — ბოსნია, სერბების დაბომბვები;

1994-1996 წლები — ერაყი. შიმშილითა და დაავადებებით იღუპებოდნენ მშვიდობიანი მოქალაქეები. სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ უკმაყოფილების გასაძლიერებლად არ წყდებოდა დაბომბვები; ტერაქტებს უწყობდნენ მშვიდობიან მოსახლეობას...

ჰაიტი, რუანდა — ცსს-ის აგენტ ჯონი სავიმბას ხელმძღვანელობით 800 000-მდე რუანდელს ყელი გამოჭრეს (საუბარია ხუტუს ხალხის ამოწყვეტაზე). რუანდის არმია აშშ-ის სახსრებით არსებობდა და ამერიკელი ინსტრუქტორების მიერ იწვრთნებოდა.

1995 წელი — ისევ მექსიკა, შემდეგ ხორვატია, 6 000 მოკლული მშვიდობიანი მოქალაქე ისევ **რუანდაში**...

კონგო, სუდანი...

1998 წელი — იუგოსლავია. საერთაშორისო სამართლის ნორმების იგნონირებით, გაეროსა და უშიშროების საბჭოს გვერდის ავლით, ნატო-ს ძალების გამოყენებით, აშშ-მა იუგოსლავიის სუვერენული სახელმწიფოს 78-დღიანი დაბომბვა დაიწყო. 32 0000 საბრძოლო გაფრენის დროს გამოყენებული იყო 21 0000 ტონა ბომბები, რაც ჰიროსიმაზე ჩამოგდებული ატომური ბომბის სიმძლავრეს ოთხჯერ აღემატებოდა...

გადატრიალება ბელგრადში და ამერიკელების საძულველი მილოშევიჩის ჩამოგდება; სერბების წინააღმდეგ მათ მიერვე გაწვრთნილი ალბანელი ტერორისტების დევნა მაკედონიაში; სახალხო მღელვარების შიშით ისევ ჯარების შეყვანა **ფილიპინებში;**

ვენესუელა...

2003 წელი — ისევ ფილიპინები, ერაყი, ლიბია, სირია; სახელმწიფო გადატრიალება **საქართველოში;** ისევ ჯარების შეყვანა **ჰაიტიზე;** პრეზიდენტული სახელმწიფო გადატრიალება **უკრაინაში; ლიბიის** დაბომბვები...

2003 წლიდან დღემდე მცირე დროა და თან სამხედრო ავკაცობებში ჩვენც ჩავებით აშშ-ის მხარდამხარ. ამდენად, ქრონოლოგიის დასრულება, ერთგვარად, მერცხვენება... თუმცა აშშ და მისი ხელქვეთი ნატო კვლავ ომობს...

სხვა რამის თქმა მინდა — ამ ყველაფრის ჩამდენი აშშ-ის ელჩი და, ზოგადად, დასავლეთის ქვეყნების ელჩები როგორ უნდა ბედავდნენ ხმის ამოღებას სხვა ქვეყნებში დამნაშავეების დასაცავად და კიდევ უარესი — ღიად ერევიან დამოუკიდებელი და მისი ვითომ სტრატეგიული პარტნიორისა და ვითომ მეგობარი ქვეყნის შიდა საქმეებში.

თურმე, ნუ იტყვით და, საქართველოში მიმდინარე ქვეყნისთვის საკეთილო საქმეებზე არასწორი რეაქცია აქვთ, შფოთავენ და რაღაც საავკაცო მითითებებს იძლევიან...

თუმცა რა, ჩვენ ხომ ვიცით, რომ რაგინდ ქვიშით ხეხო, ყორანი არ გათეთრდება — მორიელის ბუნებაა ასეთი, თუ ვინმე არ დაკბინა და გესლი არ ანთხია, არ შეუძლია...

ამერიკის კონტინენტზე ადგილობრივი მოსახლეობის ამომწყვეტი მიმხდური ევროპელი კოლონიზატორებისა და ევროპის „ბინძური ქაფისგან“ მიღებულ შთამომავლებს სხვაგვარი მენტალიტეტი როგორ ექნებათ, რანაირად აუხსნი, რა არის სამშობლო...

როგორი გრძნობაა?! - გაბრიელ გარსია მარკესის წერილი ბუშს

11 სექტემბერის ტრაგედიიდან არც ისე დიდი ხანი იყო გასული, როცა კოლუმბიელმა მწერალმა, გაბრიელ გარსია მარკესმა, ჯორჯ ბუშს ღია წერილი მისწერა:

“როგორი გრძნობაა? როგორ გრძნობთ თავს, როცა საშიშროება თქვენს საკუთარ ეზოშია და არა თქვენი მეზობლის ოთახში? რა გრძნობაა, როდესაც გულს შიში ეპარება, როცა თავზარდამცემი ხმაურის გამო პანიკაში ვარდები, ხედავ უკონტროლო ცეცხლში გახვეულ ქალაქს, როცა შენობები ინგრევა და უდანაშაულო ადამიანების სისხლსა და კვამლში გახვეულ თვალებს ხედავ?

რა გრძნობაა, როდესაც მთელ დღეს სახლში ატარებ და არ იცი, ხვალ რა მოხდება? როგორ შეიძლება, შოკურ მდგომარეობას დააღწიო თავი?

1945 წლის 6 აგვისტოს იგივე მდგომარეობა იყო ჰიროსიმას მოსახლეობაში. ქალაქის არცერთი ნაწილი არ დარჩენილა ამერიკული ბომბების გარეშე – სულ რაღაც წამებში 80 000 უდანაშაულო კაცი, ქალი და ბავშვი დაიღუპა, 250 000 კი რადიაციას ემსხვერპლა. მაგრამ ეს შორეული ომები იყო და ტელევიზია მაშინ არც არსებობდა.

დღეს რას გეუბნებათ სატელევიზიო კადრებიდან მოვარდნილი შიში, რომელიც 11 სექტემბრის უბედურ დღეებზე გიყვებათ? ზუსტად 28 წლის წინათ, 11 სექტემბერს, ჩილეს პრეზიდენტი სალვადორ ალიენდე მოკლეს. იგი ამბოხების შედეგად დაიღუპა, რომელიც თქვენი ქვეყნის ლიდერების მიერ იყო დაგეგმილი. ესეც ბოროტება იყო, თუმცა თქვენი ქვეყნის საზღვრებიდან ძალიან შორს ხდებოდა.

იცით, რომ 1824 წლიდან 1994 წლამდე თქვენმა ქვეყანამ 73 თავდასხმა განახორციელა ლათინური ამერიკის ქვეყნებზე? მსხვერპლებს შორის იყვნენ: პუერტო-რიკო, მექსიკა, ნიკარაგუა, ჰაიტი, კოლუმბია, კუბა, ჰონდურასი, დომენიკის რესპუბლიკა, ვირჯინიის კუნძულები, სალვადორი, გვატემალა და გრენადა.

თქვენი ქვეყნის მმართველები თითქმის საუკუნის განმავლობაში ომობდნენ. მე-20 საუკუნის დასაწყისიდან დღემდე არ ყოფილა არცერთი ომი, რომელშიც პენტაგონი პირდაპირ თუ ირიბად არ ჩარეულა. რასაკვირველია, ბომბები თქვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ სკდებოდა, თუ არ ჩავთლით პერლ-ჰარბორის მაგალითს, 1941 წელს.

ახლა, როდესაც “ტყუპი შენობები” მტვრად იქცა და ტელევიზიის შემზარავ კადრებს ადევნებდით თვალს, ან ხალხის შეშინებული ყვირილი გესმოდათ, ნეტავ, იმაზე თუ დაფიქრდით, რას გრძნობდნენ ვიეტნამელი უდანაშაულო გლეხები ამდენი წლის განმავლობაში?

თქვენმა საჰაერო ძალებმა არცერთი ქარხანა არ დატოვეს გაუნადგურებელი იუგოსლავიაში, ერაყში კი 500 000 ადამიანი დაიღუპა.. ნეტავ, რამდენი ადამიანი გარდაიცვალა ისეთ შორეულ ქვეყნებში, როგორიცაა: ვიეტნამი, ერაყი, ირანი, ავღანეთი, ლიბია, ანგოლა, სომალი, კონგო, ნიკარაგუა, იუგოსლავია? უდავოდ, არასრული სია...

ყველა ამ ადგილას დახარჯული თითოეული ტყვია თქვენს ქარხნებში მზადდებოდა და მათ თქვენს მიერ გაწვრთნილი ბიჭები იყენებდნენ. ეს ყველაფერი კი მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენ “ამერიკული ცხოვრებით” გეცხოვრათ.

თქვენი ქვეყანა მთელი საუკუნის განმავლობაში ებრძოდა დანარჩენ მსოფლიოს. უცნაურია, რომ თქვენი ლიდერები აპოკალიფსის მხედრები ხდებიან თავისუფლებისა და დემოკრატიის სახელით, მაგრამ ისიც უნდა იცოდეთ, რომ მსოფლიოში ძალიან ბევრი ადამიანისთვის ამერიკა თავისუფლების მაგალითს კი არა, არამედ შორეულ ტირანს წარმოადგენს, რომელიც თესავს ომს, შიშს, შიმშილსა და განადგურებას. თქვენი ბომბებისგან დაღუპულ ადამიანთა 90% უბრალო მოქალაქეები არიან – ქალები, მოხუცები და ბავშვები.

რა გრძნობაა, როცა საშიშროება თქვენს კარზეც აკაკუნებს თუნდაც ერთი დღით? როგორი გრძნობაა შიში? როგორი გრძნობაა, როცა იცით, რომ თერთმეტ სექტემბერს ეს გრძელი ომი თქვენი სახლის კარსაც მოადგა?!”

ბოროტება დედამიწაზე ცივილიზაციისა და დემოკრატიის სახელით კი გრძელდება!

არა, ამ უსამშობლოების მისაბაძი რა გვჭირს, — თვარა, — კი!..

ღმერთო, როდის დასრულდება ბოროტების იმპერიების პარპაში დედამიწაზე!..

P.S „ერევანმა უნდა გამოიტანოს დასკვნები კიევისა და თბილისის გამოცდილებიდან, რომლებსაც სჯეროდათ დასავლეთის არაგულწრფელი დაპირებები ევროკავშირსა და ნატო-ს სტრუქტურებში ინტეგრაციის შესახებ“, - აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილი მრჩეველი ჯეიმს კარდენი.

„ფაშინიანი ფრთხილად უნდა იყოს - ეს არის კარგად გავლილი გზა და უკიდურესად საშიში მათთვის, ვინც მას მიჰყვება“, - თქვა კარდენმა.

ყოფილი მრჩეველი ასევე წერს, რომ ვაშინგტონმა უნდა შეწყვიტოს კავკასიის საქმეებში ჩარევა და შეზღუდოს ის ზიანი, რაც ამერიკელებმა უკვე მიაყენეს პოსტსაბჭოთა სივრცეს.

ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა, ვან ვენბინმა განაცხადა, რომ აშშ სუვერენიტეტის ნომერ პირველი დამრღვევი და სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩამრევია.

„მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, აშშ ცდილობდა 50-ზე მეტი უცხო ქვეყნის მთავრობების დამხობას, უხეშად ჩაერია არჩევნებში, სულ მცირე, 30 ქვეყანაში და 50-ზე მეტი უცხოელი ლიდერის მოკვლას შეეცადა“, - აღნიშნა ვან ვენბინმა.

ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლის თქმით, ვიდრე აშშ-ის ჰეგემონიზმი და საომარი განწყობილება არსებობს, დანარჩენი მსოფლიო ძნელად მიიღებს მშვიდობას, რომელსაც იმსახურებს.

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა
რედაქტორი და გამომცემელი: თამარ ბერძენიშვილი
სარედაქციო კოლეგია:
თამარ შველიძე, გია ბურდული, მაია ჭელიძე, ზურაბ ოშხერელი, ნონა ქარქაშაძე, ლევან ჭიღლაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), ბელა გველესიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertomedia.com

მის:. თბილისი, სლავა მეტრეველის ქ. 18;
ტელ.: 593 44-04-01; (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertomedia.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა: შპს „ელვა-ჯი“
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISBN 977-22333-9800-1
2 008311 231562

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99